ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

22 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყარო
ზვიგენები
10 ლარი




სამშაბათი, 22 ოქტომბერი, 2013 №250 (6251) ფასი: 30 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილი: „თანამდებობას 24 ნოემბრამდე დავტოვებ!“



გვ.6

## ავღანეთში მყოფმა ქართველმა სამხედროებმა პრეზიდენტად დავით ბაქრაძე აირჩიეს?

გვ.3

ცესკო გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს



## საარჩევნო ბიულეტენები 10 სტამბაში იბეჭდება გვ.7

## ნანა კაკაბაძე: „ხალხი გრძნობს, რომ მათი აზრი ხელისუფლებას არ აინტერესებს“

გვ.3





გვ.7

## შალვა ნათელაშვილი: „გამორიცხულია, რომ არჩევნები ვერ მოვიგო“

## გოგა ხაინდრავა: „ზურაბ ჟვანია მოკლულია“



რეჟისორ გოგა ხაინდრავას განცხადებით, ზურაბ ჟვანიას საქმე, რომელიც თეთრი ძაფით არის ნაკერი, აუცილებლად გაიხსნება. ამის შესახებ მან სააგენტო „პირველის“ პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა. მისი თქმით, ჟვანიას გარდაცვალების საკითხზე ის იუსტიციის მინისტრს და მთავარ პროკურორს ესაუბრა, თუმცა საუბრის დეტალები არ დაუკონკრეტებია. ხაინდრავა აცხადებს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი მოკლულია და ეს იყო შეთქმულება ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ, რომელშიც სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და ბარამიძე მონაწილეობდნენ.

„იმ დღეს, საბურთალოს 53-ში მდებარე სახლს, სადაც ზურა გარდაცვლილი იპოვეს, ბუნებრივი აირი არ მიეწოდებოდა. გაზი 12.00 საათიდან გადაკეტილი იყო, ამიტომ ვერანაირი მოწამლვა ვერ იქნებოდა. ამასთან, გაზის გამათბობელი წინა დღეს იყო დაყენებული და ცემენტი გამშრალიც არ იყო. მე ყურადღებით გავეცანი საგამოძიებო ორგანოს დასკვნას, სადაც წერია, რომ გამორიცხული იყო ჟვანია და უსუპოვი ბუნებრივი აირით მოწამლვის გამო გარდაცვლილიყვნენ“, – განაცხადა ხაინდრავამ და აღნიშნა, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების დღეს იგი სამჯერ შეხვდა და მიუხედავად ამისა, საგამოძიებო უწყებამ მაშინ დაკითხვაზე არ დაიბარა.

„ორჯერ დავწერე განცხადება ადეიშვილის სახელზე და მოვითხოვე ჩემი დაკითხვა, თუმცა არავინ დაინტერესებულა.“ – აღნიშნა ხაინდრავამ.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი 2005 წლის 3 თებერვალს საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, ისინი ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად დაიღუპნენ.

მედიანიუსი



## ნუგზარ წიკლაური: „დაასრულეთ ლაყბობა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით!“

გვ.2

## ნინო ბურჯანაძე: „ვურჩევ ბატონ მარგველაშვილს, მოემზადოს მეორე ტურისათვის“

გვ.4






## კახა კობახიძე: „ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილები შსს–მ შეიძინა“

გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

4 ნინო ლომჯარია: „მოვუწოდებ მარგველაშვილს, თუ მეორე ტური დაინიშნება, კანდიდატურა არ მოხსნას“

2 „ივანიშვილს რუსეთთან ურთიერთობაში ხელს უშლიან“

6 ანზორ წოწონავა: „საქართველოს განვითარება ორხელისუფლებიანობამ შეაფერხა“

7 მასწავლებლებზე დაკვირვება იგეგმება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნუგზარ წიკლაური: „დაასრულეთ ლაყბობა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით!“

შორენა გონგლაძე

ნაციონალური მოძრაობის ბედი სულ რამდენიმე დღეში გადაწყდება. მართალია, არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტი საკუთარ უალტერნატივობაში ბოლომდეა დარწმუნებული, ისევე, როგორც ივანიშვილი საკუთარი ფავორიტის უძლეველობაში, მაგრამ წინასწარი პროგნოსის დადება მხოლოდ ერთი რამით არის შესაძლებელი. ეს არის არჩევნების შედეგების გაყალბება, რომლის ბერკეტი ყველა დროს მმართველი ძალის ხელში იყო. ამიტომ, თუ ბატონი ივანიშვილი ოცნების კანდიდატის გამარჯვების წინასწარი პროგნოზირებისაგან თავს შეიკავებს, ამით ის მხოლოდ და მხოლოდ მოიგებს და სხვა არაფერი. თუ გავიხსენებთ იმას, რომ შევარდნაძის მმართველობიდან მოყოლებული, ქვეყანაში დემოკრატიული გზით არჩევნები არ ჩატარებულა, პირველი და მთავარი თავსატეხი საზოგადოებისათვის არის ის, თუ რამდენად დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მოსახლეობას ხელისუფლების უხერხემლობის წყალობით ისევ ძველი საარჩევნო სიებით მოუწევთ მომავალი პრეზიდენტის არჩევა, არჩევნების დემოკრატიულობა უკვე თავშივე კითხვის ნიშნის ქვეშ ექცევა. არის კიდევ ბევრი ფაქტორი, რაც არჩევნების დემოკრატიულობას ეჭვქვეშ აყენებს, ეს, პირველ რიგში, არის ის მახინჯი გადმონაშთი, რასაც სახელისუფლებო რესურსის გამოყენება ჰქვია და რაც წინა ხელისუფლებისაგან მემკვიდრეობით ერგო ივანიშვილის ხელისუფლებას და რომელმაც ამ ბერკეტის გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისშივე დიდი წარმატებით დაიწყო. ის, რომ ხელისუფლების შეცვლით ბინძური მეთოდებით ქვეყნის მართვა დასრულდებოდა, უბრალოდ, ტყუილი აღმოჩნდა, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის დაწყებაზე ოცნება კი – ფარსი. სწორედ ეს აძლევს საშუალებას ნაციონალურ მოძრაობას, პოლიტიკური მოუსავლეთიდან აქტიურ პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნების შესაძლებლობას და იმის ოპტიმიზმს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს აღნიშნა ზალპებით მოუწევთ.



„ნაციონალური მოძრაობა“ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის მონაწილეობს. ამის შესახებ განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა. წიკლაურის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნების“ მსგავსად, არ აპირებს იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხმების რაღაც გარკვეულ რაოდენობას მიიღებს, შემდეგ გაუნაწყენდეს თავის ამომრჩეველს.

– რამდენიც იქნება მხარდაჭერა, ჩვენ ამას მივიღებთ მადლიერებით და შევეცდებით, შემდეგ არჩევნებზე ეს შედეგები კიდევ უფრო წარმატებული იყოს. ბოლო ერთ კვირაში, ხარაგაულში, მცხეთაში, დუშეთში, სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებში არის მასშტაბური თავდასხმები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზე, – აცხადებს წიკლაური.

– საპარლამენტო უმცირესობის წევრი ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებითაც აკეთებს განცხადებას და ყველას ამ თემაზე ლაყბობის დასრულებას ურჩევს. ნუგზარ წიკლაურის განაცხადებით, ხელისუფლებას ერთი წელი ჰქონდა იმისათვის, რომ ეს საქმე გამოეძიებინა.

– ყველას ვურჩევდი, დაასრულონ ლაყბობა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ერთი წელია გასული, ხელისუფლებაში არის „ქართული ოცნება“ და ყველა შესაძლებლობა აქვთ და ჰქონდათ მათ, რომ ეს საქმე გამოეძიებინათ. თუ გამოძიებას აქვს რაიმე ახალი გარემოებები ამ საქმესთან დაკავშირებით, ეს საქმე უნდა იყოს ხელმეორედ აღძრული და უნდა გამოქვეყნდეს ის მტკიცებულებები, თუკი რამე არსებობს. იცით, რომ აშშ-ის ფედერალური ბიურო მთლიანად იყო ამ პროცესში ჩართული. არსებობს მისი დასკვნა და ამ დასკვნის გარკვეული ნაწილი, რომელსაც ოჯახის წევრები იცნობენ, საზოგადოებისათვის ღია არ არის. მე ზურაბ ჟვანიასთან ურთიერთობა მხოლოდ ჩვენი სტუდენტობის დროს მქონდა. მას შემდეგ არავითარი ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ მასთან ურთიერთობა და მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი სახელი არ იყოს შებღალული. თუკი ამას ოჯახის წევრები ვერ აცნობიერებენ და თუკი უშუალოდ მისი ძმა ვერ აცნობიერებს ამას, თუკი ფიქრობს, რომ უშუალოდ პოლიტიკური შემადგენელი მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, პოლიტიკური დივიდენდი მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ძმის სახელი, შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი. მაგალითად, არავინ ეწინააღმდეგება იმას, რომ ყველაფერი გამოქვეყნდეს სრულად, რაც ამ საქმეშია. მაგრამ ეს გამოიყენო პოლიტიკური მიზნებისთვის – ეს არის სრული აბსურდი. ნაციონალური მოძრაობა მზად არის ნებისმიერი ტიპის გახსნილობისთვის ამ საქმეზე. მოტივაცია, თუ რატომ იყო დახურული ამ საქმის გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებებს აღარ საჭიროებს. საქართველო მართლა არის ძალიან პატარა ქვეყანა და საქართველოში ყველამ ყველაფერი იცის, თუ რატომ იყო ამ საქმის გარკვეული ნაწილი დახურული, – განაცხადა წიკლაურმა.

# „ივანიშვილს რუსეთთან ურთიერთობაში ხელს უშლიან“

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძესთან

***– ბატონო გულბაათ, ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო მათი წინასაარჩევნო დაპირება სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, თუმცა არსებობს გარკვეული პრეტენზიები. საზოგადოება თვლის, რომ ივანიშვილმა დაპირება არ შეასრულა, რომ ქვეყანაში არა მარტო ამ კუთხით, ბევრი არაფერი შეცვლილა. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

– ბიძინა ივანიშვილის დამსახურება დიდია არა მარტო სააკაშვილის რეჟიმის დასრულებაში. მავანთა უსაგნო წუწუნს – „ნაცების“ რეჟიმი არ დასრულებულა, რატომ ყველას არ იჭერენო – უპასუხოდ დავტოვებ, მარტო ერთს ვიტყვი, ვანო მერაბიშვილის გარანტირებული პრეზიდენტობა რომ ავიცილეთ თავიდან, ბატონი ბიძინას საშუალებით, უკვე დიდი სიკეთეა. ივანიშვილის დამსახურება ასევე დიდია რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაახლოებაზე საუბრის დეკრიმინალიზაციაში. სააკაშვილის განუკითხავი პარპაშის დროს მისი უწმინდესობის, ილია მეორის წინააღმდეგ სამარცხვინო სალანძღავი კამპანია სწორედ პატრიარქის მხრიდან რუსეთთან მეგობრული ურთიერთობისთვის გადადგმული ნაბიჯებით იყო გამოწვეული. ბუნებრივია, როდესაც რეჟიმის მსახურნი პატრიარქის ლანძღვას არ ერიდებოდნენ, უბრალო მოკვდავისათვის ბევრად უფრო საშიში იყო რეჟიმის რისხვა. რუსეთთან არათუ დაახლოება, არამედ ელემენტარულად რუს ხალხთან მეგობრობაზე კრინტის დაძვრაც კი სამშობლოს ღალატად ითვლებოდა. ეს ყოველივე აგვისტოს ომის შემდეგ ბევრად უფრო გამძაფრდა. ამიტომ, პოლიტოლოგიის სფეროში მომუშავე ის რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ვბედავდით რუსეთის ფაქტორზე მსჯელობას, კრიმინალიზებულნი ვიყავით და, სულ ცოტა, მარგინალების პოზიციაში ვიმყოფებოდით – მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ჩვენი თანამემამულე ჩურჩულით გამოხატავდა თავის მხარდაჭერას ჩვენი პოზიციის მიმართ. რუსეთის თემაზე სააკაშვილის მიერ დაწესებული ტაბუ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ინერციით გაგრძელდა, რაშიც დიდ როლს მასმედია ასრულებდა. ისევ ბიძინა ივანიშვილმა დაარღვია არსებული ტაბუ და თეორიულად საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება არ გამორიცხა. ეს უდიდეს მოვლენად მიმაჩნია ქართულ პოლიტიკაში, რადგან ბოლო 20-23 წლის მანძილზე რუსეთთან რაიმე სერიოზულ ინტეგრაციულ პროექტში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე საუბარი ისევ და ისევ „სამშობლოს მოღალატეობას“ უტოლდებოდა. ევრაზიის კავშირი კი არა, გავიხსენოთ, ყოვლად უსახურ და ამორფულ დსთ-ში საქართველოს შესვლა-არშესვლაზე რამდენი ემოცია ამოიფრქვა. ასე რომ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რუსეთთან პოლიტიკური დაახლოების თემა მარგინალობის მდგომარეობიდან დაიხსნა. რა თქმა უნდა, პრემიერი აცნობიერებს, რომ ხალხის ფართო ფენები მისგან სწორედ რუსეთთან სრულმასშტაბიან დარეგულირებას ელოდებიან, რაც საქართველოს ეკონომიკური წინსვლისა და პოლიტიკური სტაბილიზაციის საწინდარი გახდება.

***– რუსეთთან მიმართებით ივანიშვილისგან საზოგადოება უფრო მეტს ელოდა, მეტიც, ის პრორუსულ ძალად მოიაზრებოდა, თუმცა დღეს ივანიშვილის ეს სტატუსი უკვე ეჭვქვეშ დადგა...***

– სამწუხაროდ, არ ჩერდება დასავლურ გრანტებზე გამოზრდილი მასმედია და არასამთავრობო სექტორი. ისინი დგანან პრემიერ-მინისტრსა და ხალხს შორის. ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს (ამას ყველა გამოკითხვა მოწმობს) რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება მიაჩნია ქვეყნის პრიორიტეტად, ამას ანგარიშს უწევს და საამისოდ შინაგანადაც განწყობილია პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ხალხსა და პრემიერს კომუნიკაციაში ხელს უშლიან სწორედ ხსენებული მასმედია და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამას დავუმატოთ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური სიჭრელე, დასავლურობის სიძლიერე ამ ორგანიზაციაში და იოლად გავაცნობიერებთ, რა სირთულის წინაშე დგას პრემიერ-მინისტრი. მიუხედავად ამ სირთულისა, მიმაჩნია, რომ გარკვეულ ეტაპზე, და ეს ეტაპი, ჩემი აზრით, უკვე დადგა, პრემიერმა კიდევ უფრო უნდა გააღრმავოს თავისი გონივრული კურსი რუსეთის მიმართ და ხალხის ნება განახორციელოს. ეს ჩემი ახირება არ არის. კარგად უნდა გავიგოთ ყველამ, რომ ქართული ეკონომიკა რუსეთზეა დამოკიდებული, ევროკავშირი კარგა ხანს ვერ გვიშველის. რუსეთის ბაზარი ქართული პროდუქციისათვის ნაწილობრივ უკვე გაიხსნა. ეს ძალზე სასიხარულო ფაქტია.

***– თუმცა, ამ ურთიერთობებს გარკვეული სიძნელეებიც ახლავს.***



– მე, როგორც რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე მომუშავე სპეციალისტი, მოვლენების განვითარებას ამ მიმართულებით ყურადღებით ვაკვირდები. ამიტომ, სიკეთესთან ერთად, ვხედავ ხარვეზებსა და რისკებს, რომლებიც ამ დადებით პროცესს თან ახლავს. კერძოდ: ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქცია სხვა კავკასიურ რესპუბლიკების ანალოგიურ პროდუქციასთან შედარებით ნაკლებ კონკურენტუნარიანია, ფასებიდან გამომდინარე. საქართველო-რუსეთს შორის პოლიტიკური დაურეგულირებლობის პირობებში საბაჟო გადასახადები ჩვენს პროდუქტებზე უფრო მაღალია. მაგალითად, რუსული ბაზარი სავსეა აფხაზური ციტრუსებით. წელს ქართული ციტრუსები ვერ გაუწევს კონკურენციას აფხაზურს, რადგან აფხაზებს საბაჟო გადასახადის გარეშე შეაქვთ თავიანთი პროდუქტები, რუსეთის კეთილი პოლიტიკური ნებიდან გამომდინარე. ამიტომ აფხაზური ციტრუსები უფრო იაფია, ხარისხით კი ქართულს არ ჩამოუვარდება. პოლიტიკური დაურეგულირებლობის პირობებში რუსი ბიზნესმენები გაურბიან ქართულ კომპანიებთან უშუალო ურთიერთობებს და მათთან ხელშეკრულების გაფორმებას. მათ პოლიტიკური რისკები აშინებთ, რომლებიც რეალურია მაშინ, როდესაც ორ ქვეყანას არ აქვს ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობები. სავიზო რეჟიმის სიმკაცრე რუსეთის მხრიდან ხელს უშლის ბიზნესკონტაქტების გაღრმავებას, რაც ისევ და ისევ დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობით არის განპირობებული. ჩემთან ბევრი ბიზნესმენი მოდის თხოვნით, როგორმე დავეხმარო რუსული ვიზის გაფორმებაში. ბატონმა პრემიერმა უნდა იცოდეს, რომ ახლახან ტელევიზიით გაპიარებული ქართული სატრანსპორტო კომპანიის მიერ რუსეთში მარშრუტის აღდგენა თავისით არ მომხდარა. იყო კარასინ-აბაშიძის პრინციპული შეთანხმება, მაგრამ პრაქტიკაში ქართველი მძღოლები ვიზების გარეშე დარჩნენ. რეალური დახმარების აღმოჩენა მათთვის სწორედ ევრაზიის ინსტიტუტმა მოახერხა და მძღოლები რუსეთში შევიდნენ, მაგრამ ასე უსასრულოდ ვერ გაგრძელდება – საჭიროა სახელმწიფოებრივი დარეგულირება, დიპლომატიური ურთიერთობების დონეზე. ამიტომ აუცილებელია დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ზედმეტი ლაპარაკის გარეშე და სასურველია, დავიწყოთ კვალიფიციური მსჯელობა, საბაჟო კავშირთან დაახლოების თაობაზე. კიდევ ერთხელ განვმარტავ, რაც ადრეც გამიკეთებია პრესითა და ტელევიზიით: დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა რუსეთთან არ ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას. საგარეო საქმეთა მინისტრს, ასევე ბატონ ზურაბ აბაშიძეს, კიდევ ერთხელ შევახსენებ სერბეთის პრეცედენტს – კოსოვო აღიარა დასავლეთის დიდმა ნაწილმა, მაგრამ სერბეთს არც ერთ დასავლურ სახელმწიფოსთან (და თუნდაც არადასავლურთან) დიპლომატიური ურთიერთობა არ გაუწყვეტია. ბელგრადში ყველა უცხოური საელჩო ფუნქციონირებს, ისევე, როგორც პრიშტინაში. ჩვენ რომ ვიძახოთ, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამი საელჩოს არსებობა დაუშვებელიაო, განა ამ ძახილით ორი უკვე არსებული საელჩო დაიხურება?! იქნებ სჯობს, რომ მესამე საელჩო თბილისში იყოს, რათა მეტი გავლენა ვიქონიოთ რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე?! საბედნიეროდ, ეს ანბანური ჭეშმარიტება ჩვენი ხალხის დიდ ნაწილს უკვე კარგად აქვს გაცნობიერებული. ხალხს უნდა ნორმალური ცხოვრება და კეთილმეზობლური ურთიერთობები რუსეთთან. საქართველოს ერთიანობა ამით არ ილახება, პირიქით, პერსპექტივაში მხოლოდ დადებითი ტენდენციები თუ გაჩნდება. საქართველოს რუსეთთან დაახლოებისა ეშინიათ სეპარატისტებს და კიდევ ვიღაც-ვიღაცებს დასავლეთში, ამიტომ მეტი ენერგიით უნდა გავაუმჯობესოთ რუსეთთან მეზობლობა. დღეს რომ საპრეზიდენტო კანდიდატებიდან რომელიმეს გადაელახა მასმედია-არასამთავრობოების კომპლექსი და პირდაპირ გამოეცხადებინა, რომ: მხარს უჭერს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას; საბაჟო კავშირთან მოლაპარაკებების დაწყებას, მას რეიტინგი თუ არ გაუორმაგდებოდა, სერიოზულად მაინც გაეზრდებოდა. საინტერესოა, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი, რომლის მთავარი პოლიტიკური კაპიტალი პრეზიდენტ პუტინის მხრიდან კეთილი განწყობის გამოხატულებაა, ვერ ბედავს ამ ლოგიკური ნაბიჯის გადადგმას და გასაკეთებელს ისევ ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, თუნდაც ეს კურსი მისი მხრიდან ჯერჯერობით არასაკმარისად მყარი და ეფექტურია. პირადად მე, როგორც საზოგადოების რიგითი წევრი და პოლიტოლოგი, ჩემ მიერ წარმოდგენილი ევრაზიის ინსტიტუტის სახელით ვთავაზობ ყველა საღად მოაზროვნე პიროვნებას, ასევე პროფილით მომუშავე ორგანიზაციებს, დავსხდეთ მოლაპარაკებების მაგიდასთან და შემდეგ უკვე დავიწყოთ ხელმოწერების შეგროვება ზემოთ აღნიშნული წინადადებების რეალიზების მოთხოვნით, ამით ჩვენ ბიძინა ივანიშვილს კიდევ ერთხელ დავეხმარებით, უშუალო კომუნიკაცია ჰქონდეს ხალხთან და მას ხელი არ შეუშალონ შუალედურმა რგოლებმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ავღანეთში მყოფმა ქართველმა სამხედროებმა პრეზიდენტად დავით ბაქრაძე აირჩიეს?

## ცესკო გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს

შორენა მარსაგიშვილი

ავღანეთში დისლოცირებულმა ქართველი სამხედროებისთვის საპრეზიდენტო არჩევნები უკვე ჩატარდა. ჩვენმა სამხედროებმა ხმა ორ საარჩევნო უბანზე „ლეზერნიკსა“ და „ერედვზე“ მისცეს. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნები დავით ბაქრაძემ მოიგო. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ეს ცნობა ნაციონალებმა გაავრცელეს.

მათივე მტკიცებით, ბაქრაძის გამარჯვებაში ლომის წვლილი ირაკლი ალასანიამ შეიტანა. ამტკიცებენ, რომ თითქოს თავდაცვის მინისტრმა პირადად სთხოვა სამხედროებს ხმა ბაქრაძისთვის მიეცა.

ვისაც აღარ გახსოვთ შეგახსენებთ, რომ ოცნების კანდიდატი თავიდან ალასანია უნდა ყოფილიყო. მაგრამ ივანიშვილმა გადაწყვეტილება შეცვალა. ამაზე თავდაცვის მინისტრი სერიოზულად არის გაბრაზებული. ახლა ოცნებაში მის წინააღმდეგ სერიოზული კულუარული ბრძოლაა დაწყებული. თუმცა საეჭვოა, ალასანიას ამის გამო ჯარისთვის ბაქრაძის მხარდაჭერა მოეთხოვა.

ავღანეთთან დაკავშირებულ ინფორმაციას სოციალურ ქსელებში ნაციონალი გოგა ხაჩიძე გამოეხმაურა.

– როგორც ერთი კონკრეტული ადამიანი მიყვება, ავღანეთიდან დაბრუნებული, საარჩევნო კომისიის წევრი – „ქართული ოცნებიდან“, გამწარებული ლანძღავდა ალასანიას – „მარგველაშვილს მაგან გაუჩალიჩა წაგებაო, – აღნიშნავს გოგა ხაჩიძე.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ ადასტურებენ ფაქტს, რომ ავღანეთი გახსნილ საარჩევნო უბანზე „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ გაიმარჯვა.

როგორც ცესკო-ს პრეს-სპიკერმა ეკა აზარაშვილმა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას განმარტა, ავღანეთის სპეცუბანიდან ბიულეტენები უკვე ჩამოიტანეს საქართველოში, თუმცა ის ჯერჯერობით დალუქულ მდგომარეობაშია და შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა მოიგო.

აზარაშვილის თქმით, ავღანეთის სპეცუბნის დალუქული საარჩევნო ყუთი 27 ოქტომბერს გაიხსნება და მასში არსებული ბიულეტენები საქართველოში ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდეგ, კანონით დადგენილი წესების თანახმად დაითვლება.

– პირველ რიგში, ვიტყვი, რომ კენჭისყრა ნამდვილად ჩატარდა და ის სპეცჯგუფები, რომლებიც გაგზავნილნი იყვნენ ავღანეთში კენჭისყრის ჩასატარებლად, უკვე საქართველოში არიან. შესაბამისად, საქართველოშია ჩამოტანილი დალუქული ყუთებიც. დალუქულ ყუთებს ცესკო გახსნის და ხმებს დაითვლის არჩევნების დღეს, მანამდე ის იქნება დალუქულ მდგომარეობაში. ასე რომ, სანამ ეს ყუთი არ გაიხსნება, ანუ არჩევნების დღე არ მოვა და ცესკო-ს წევრები არ დაითვლიან ამ ხმებს, მანამდე ფიზიკურად ვერავის ვერ ეცოდინება რამდენმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა და როგორ გადანაწილდა მათი ხმები კანდიდატებს შორის. რომელმა კანდიდატმა გაიმარჯვა ამათუიმ უბანზე, ამის დადასტურება მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როდესაც ეს ყუთები გაიხსნება, ცესკო შედეგებს დაითვლის და ოფიციალურ მონაცემებს გამოვაქვეყნებთ. ამ ეტაპზე დალუქულია მონაცემები იმის შესახებაც, თუ რამდენმა ამომჩეველმა მიიღო მონაწილეობა. ამომრჩევლების რაოდენობას ჯერ ვერ დავასახელებთ, დალუქულია ეს სიები, ყველაფერი დალუქულია, რაც ამ არჩევნებს უკავშირდება. არჩევნების დღეს, 27 ოქტომბერს ცესკო გახსნის ამ ყუთებს და კომისიის წევრები თვითონ დაითვლიან ამ ხმებს კანონის მიხედვით, – აღნიშნა აზარაშვილმა.

# ნანა კაკაბაძე: „ხალხი გრძნობს, რომ მათი აზრი ხელისუფლებას არ აინტერესებს“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***– ქალბატონო ნანა, სულ რაღაც 5 დღე დარჩა საპრეზიდენტო არჩევნებამდე. წინასაარჩევნო კამპანია უჩვეულოდ მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. როგორია თქვენი პროგნოზები და შეფასებები, რას ელოდებით?***

– უპირველეს ყოვლისა, სამწუხაროა ის, რომ რაც დრო გადის, ქართული პოლიტიკა სულ უფრო სცილდება ხალხის ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც დიდი რამ მოხდა პირველ ოქტომბერს. მოხდა ის, რომ ნაციონალური მოძრაობა ერთი შეხედვით თითქოსდა დამარცხდა და უნდა ჩამოშორებულიყო პოლიტიკას, ვხედავთ, რომ ეს ასე არ მოხდა და ამ გამარჯვების შედეგი საზოგადოებამ ძალიან მინიმალურად იწვნია. თუმცა როდესაც იძახიან, რომ მოლოდინები იყო დიდი, მოლოდინები იყო დიდი იმისა, რომ სამართლიანობა აღდგებოდა. ის, რაც 9 წლის განმავლობაში იყო ფეხქვეშგათელილი, ადამიანები, მათი ღირსება, მათი უფლებები, მათი ქონებრივი მდგომარეობა და ასე შემდეგ, ეს ადამიანები რაღაცნაირად შვებას იგრძნობდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. დღეს გვეუბნებიან, რომ სამომავლოდ ასეთი რამ არ მოხდება. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ძალიან ცუდია ის, რომ ეს არის დაპირება. რეალურად ამ ადამიანებისთვის, პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდგომ, ბევრი არაფერი შეცვლილა. მე იმ ადამიანებს ვგულისხმობ, ვინც ყველაფერი დაკარგა ამ 9 წლის განმავლობაში. ვინც ხელისუფლების უკანონო ქმედებებით იყო დაზარალებული, მათი უფლებების აღდგენა, ეს იქნება სამსახურებრივი თვალსაზრისით თუ ქონებრივი თვალსაზრისით, ამ ადამიანების მიმართ სულაც არაფერი არ შეცვლილა. იმის თქმა, რომ მომავალში ეს ყველაფერი აღარ მოხდება, ჯერ ერთი, ეს დაპირებაა და ძალიან პირობითი ნათქვამია...

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შესაძლოა მომავალშიც განმეორდეს?***

– თუკი არ მოხდა იმ მოსამართლეების დასჯა, ვინც უკანონოდ ადამიანებს ციხეებში უშვებდა, ვისაც პოლიტიკური დაკვეთებით გადაწყვეტილებები გამოჰქონდა და დღეს მათი დასჯა არ მოხდება, მაშინ ხვალ როგორ მოსთხოვს სხვა მოსამართლეს, რომ შენ აგე პასუხი ანალოგიურ უკანონო გადაწყვეტილებებზე? თუ გუშინდელზე არ მოითხოვე პასუხი, დღევანდელზე როგორ მოითხოვ?! ეს აბსოლუტურად გაუგებარია ჩემთვის, ან სად იქნება სამართლიანობა? ამიტომ მე ვფიქრობ, რომ საზოგადოების ინტერესების იგნორირება თანდათანობით კიდევ უფრო მატულობს. მე მესმის, რომ ნაციონალური მოძრაობის არყოფნა ხელისუფლებაში, ეს არის საზოგადოების ინტერესებშიც, მაგრამ ეს უფრო სხვა სერიოზული წრეების ინტერესებში შედიოდა მათი არყოფნა და სწორედ ამიტომ მოხდა მათი პოლიტიკიდან ჩამოშორება და არა იმიტომ, რომ ეს იყო საზოგადოების დაკვეთა.

***– საზოგადოების უდიდესი სურვილი იყო, ქალბატონო ნანა, მათი ჩამოშორება...***

– რასაკვირველია, ეს საზოგადოების ინტერესში შედიოდა, მაგრამ საზოგადოების ინტერესების გამო კი არ მოხდა ეს, ეს მოხდა რაღაცა წრეების და რაღაცა თემების ინტერესების გამო, შეიძლება ჩვენი ქვეყნის გარედანაც მოდიოდა ეს და არა იმიტომ ჩამოაშორეს, რომ ხალხს ასე უნდოდა. დღესაც არჩევნების წინ ჩვენ ვხედავთ, რომ თუნდაც საარჩევნო სუბიექტებიდან გამომდინარე, ან თუნდაც საარჩევნო კოდექსიდან გამომდინარე, როდესაც პოლიტიკაც კი პრივატიზებულია. თუ ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია შეიქმნება, ახალი ძალა გაჩნდება, მას არანაირი პერსპექტივა არა აქვს, თუნდაც ამ კანონმდებლობის საფუძველზე. თავისთავად ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ეს არ არის საზოგადოების ინტერესებზე მორგებული ხელისუფლება და აქაც მიდის ბრძოლა არა იმაზე, როგორ მოხდეს საზოგადოების წინსვლა, საზოგადოების განვითარება, მისი ინტერესების დაცვა, არამედ ხდება იმ ადამიანების ინტერესების გათვალისწინება, ვინც პოლიტიკის პრივატიზება მოახდინა. დღეს საზოგადოების ინტერესები არის მეათეხარისხოვანი. ხალხზე ორიენტირებული და ხალხზე მზრუნავი, არც პარლამენტია დღეს ქვეყანაში, არც ხელისუფლება და შესაბამისად კანონმდებლობაც არის ისეთი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კლანებს თუნდაც პოლიტიკურ კლანებს ემსახურება.

***– რაც შეეხება კანდიდატებს, პრემიერი აცხადებს, რომ მათთვის მეორე ტური მიუღებელია, რომ მარგველაშვილმა არ უნდა მიიღოს მეორე ტურში მონაწილეობა. რა ხდება, რატომ ეშინიათ მეორე ტურის, ან რა მიდგომაა ეს?***

– არა მგონია, რომ ეშინიათ. აქაც, ამ განცხადებაშიც მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების ინტერესების იგნორირება ხდება და სხვა არაფერი. რას ნიშნავს ეს განცხადება? ვიცით, რომ 50%-ზე მეტი უნდა მიიღოს კანდიდატმა, რომ გახდეს პრეზიდენტი. ვთქვათ საზოგადოების 49%-მა ვიღაცას დაუჭირა მხარი, ვიღაცას 355-ით, ვიღაცას 15%-ით. ვთქვათ, მარგველაშვილმა მიიღო ყველაზე მეტი ხმა, ეს 49%, გამოდის, რომ ამ საზოგადოების აზრი არის იგნორირებული, იმიტომ, რომ პრემიერმა ასე თქვა. ან თავად კანდიდატმა, რომ მე თუ არ მივიღებ 60%-ზე მეტს, მორჩა, მე აღარ მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში. აქ საზოგადოების აზრი არის გათვალისწინებული? ვინმეს აინტერესებს საზოგადოების აზრი? მეორე ტურს ითვალისწინებს კანონი. იმ შემთხვევაში, თუკი არ მოხდა 50%-ზე მეტის დაფიქსირება, კანონი ითვალისწინებს მეორე ტურს და როგორ შეიძლება კანონზე მაღლა დადგეს და თქვას, რომ მე ამ შემთხვევაში ამაზე უარს ვიტყვი. ამით საზოგადოების აზრისა და ხმის არაფრად ჩაგდება ხდება. ეს ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ივანიშვილი ვიღაცისთვის ათავისუფლებს ადგილს ამ განცხადებით.

***– ვის უთავისუფლებს ადგილს?***

– ამ ეტაპზე ჩემთვის ძნელია იმის თქმა, თუ ვის უთავისუფლებს ადგილს, მაგრამ შთაბეჭდილებას ასეთს ტოვებს, რომ ის ადგილს ათავისუფლებს ვიღაცისთვის. ფაქტია, რომ ხალხისთვის ეს არ კეთდება.



***– იმის თქმა გინდათ, რომ თუკი დაინიშნა მეორე ტური, მარგველაშვილი მასში მონაწილეობას არ მიიღებს და ეს ყველაფერი ვიღაცის სასარგებლოდ მოხდება, მას დაეწერება მარგველაშვილის პროცენტებიც?***

– ვინც მეორე ადგილზე გავა, მის სასარგებლოდ მოხდება, რადგან მეორე ადგილზე გასული ხდება პრეზიდენტი. ასეთ შემთხვევაში მეორე ტურში უკვე ორი ადამიანი კი აღარ ღებულობს მონაწილეობას, ღებულობს ერთი, მხოლოდ მეორე ადგილზე გასული.

***– და შეიძლება, რომ ეს დავით ბაქრაძე იყოს?***

– შესაძლებელია, რატომაც არა, როდესაც ვხედავთ, როგორი კამპანია მიდის ამ მიმართულებით, რომ ძალით, თავს მოხვეულად, მაშინ, როდესაც პირველ ოქტომბერს ხალხმა სწორედ ამ ძალის წინააღმდეგ გაიმარჯვა და ცხრა თვეში გააკეთეს ისე, რომ შემოატრიალეს სიტუაცია და ამ ძალას იძულებით გვახვევენ თავს, ქვეყნის შიგნიდან თუ ქვეყნის გარედან. თუკი ვერ მიიღო 50%, აღარ უნდა მიიღოს მონაწილეობა და რამდენიმეპროცენტიან კანდიდატს უნდა დარჩეს გამარჯვება? რომლის პროცენტებიც ათს ვერ ცდება. მითხარით ერთი, ეს არის სახელმწიფოებრივი აზროვნება?! და ეს არის საზოგადოებაზე და ხალხზე ორიენტირებული გადაწყვეტილება?

***– მაშინ არ უნდა ველოდეთ კარგ პროცესებს, რადგან მეორე ტურის აუცილებლობაზე დღეს ყველა საუბრობს...***

– მეორე ტური აუცილებლად იქნება, ეს გარდაუვალია. როდესაც ამდენი კანდიდატი გყავს, ეს ხელოვნურია თუ ბუნებრივია, ეს კიდევ სხვა თემაა. როდესაც ამდენი კანდიდატი გყავს, ყველა ადამიანს უბრალოდ ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები ხომ ჰყავს, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ 50%-ზე მეტი შესაძლოა ერთ კანდიდატს არ ჰქონდეს, მაგრამ მეორე ტურის შემთხვევაში, როდესაც დანარჩენი ყველა კანდიდატები მოიხსნება და დარჩება ორი კანდიდატი, ამ შემთხვევაში, სრულიად რეალურია, რომ ხალხის რჩეულმა გაიმარჯვოს. შენ, ვისაც ყველაზე მეტი ხმა მოგცა ხალხმა და ყველაზე მეტი ნდობა გამოგიცხადა, ადგები და მოხსნი კანდიდატურას, როგორ გამოდის, რომ ეს საზოგადოების ინტერესებშია. როგორ შეიძლება საზოგადოებაზე ასეთი გალაშქრება, ასეთი ზეწოლა, რომ აი, ამდენი თუ არ იქნება, ჩვენ ვწყვეტთ მონაწილეობას არჩევნებში. როგორ შეიძლება საზოგადოებისთვის ასეთი ულტიმატუმების წაყენება. პირიქით, გამიგონია, რომ ხალხი უყენებდეს ულტიმატუმს ხელისუფლებას იმიტომ, რომ ხალხი ირჩევს მას. ხელისუფლება რომ უყენებდეს ხალხს ულტიმატუმს, ამას პირველად წავაწყდი ჩემს სიცოცხლეში.

***– ეს არის შანტაჟი ამომრჩეველზე?***

– ერთი მხრივ, შანტაჟიც არის და საერთოდ, არასწორი საქციელია. რა შუაშია ის ამომრჩეველი, ის უმრავლესობა, ვინც ხმა მისცა და თავისი ნება გამოხატა?! როგორ შეიძლება ასეთი მანიპულირება, კანონმდებლობა იმიტომ ითვალისწინებს მეორე ტურს, რომ ასე არის მიჩნეული ხალხის მხრიდან არჩეული ორგანოს მხრიდან. მართალია, შენ გაქვს უფლება, მოხსნა კანდიდატურა არჩევნებიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში შენ ამას იყენებ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ. გამოდის, რომ საზოგადოების უმრავლესობის ხმა არის იგნორირებული.

***– გამოდის, მართლაც ვიღაცის სასარგებლოდ კეთდება ეს...***

– მე პირადად ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. აქ კონკრეტული ჯგუფების ინტერესებია წინა პლანზე წამოწეული, რომლის დაკონკრეტებისაგან ახლა თავს შევიკავებ. არჩევნების შემეგ ყველაფერი გამოჩნდება, თუ რა ხდება. აბა, როგორ შეიძლება, თუ ხალხზე ორიენტირებული ხელისუფლება ხარ, შეიძლება იმის თქმა, რომ თუ არ დაფიქსირდა 60% და მეტი, მე ვეთიშები არჩევნებსო. ამდენი ხალხის ნება და არჩევანი გამოდის, რომ რჩება ჰაერში.

***– ზედმეტი ამბიციურობა ხომ არ არის?***

– არანაირ ამბიციას ეს არ ჰგავს. პირველ ოქტომბერს რატომ არ ჰქონდათ ეს ამბიცია, როდესაც ზუსტად იცოდნენ, რომ ნაციონალურ მოძრაობას 13%-ზე მეტი არ აუღია და გაყალბებული იყო დანარჩენი, რატომ არ თქვეს, რომ გაყალბებულიაო და რატომ არ დაიწყეს ბრძოლა უფრო მეტისთვის?! პირიქით, დემოკრატიული იყოო და გაუფორმეს მოპარული პროცენტები. მაშინ სად იყო მათი ამბიციურობა? ახლა რაშია საქმე, ახლა რა ხდება?! საერთოდ, არ ახსენებენ, რომ ეს 40% გაყალბებულია, ზღაპარი იყო, რომ ნაციონალებს ამდენი აეღოთ, მთელი რესურსებიან-გაყალბებიანად 13%-ზე ზევით ვერ ავიდნენ. ის, რასაც დღეს აცხადებენ, ეს არის საზოგადოების აზრის უპატივცემულობა და იგნორირება.

***– შესაძლოა 27-ის შემდეგ მივიღოთ კოჰაბიტაცია ახალი ფორმებით?***

– არ ვიცი, რას მივიღებთ, მთავარია, როგორ წავა პროცესები საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რა შეიცვლება, რა არ შეიცვლება, კოჰაბიტაციას მივიღებთ თუ რაღაცა უარესს, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ თავისთავად ეს სასტარტო სიტუაცია, რაც დღეს წინასაარჩევნოდ არის ეს საზოგადოებაში სერიოზულ უიმედობას იწვევს. ხალხი გრძნობს ამ დამოკიდებულებას, რომ ისინი არიან იგნორირებულნი და მათი აზრი არავის არ აინტერესებს, რომ აინტერესებდეთ, მათი აზრი მაშინ ასეთი განცხადებები არ გაკეთდებოდა. არჩევანი გამოხატავს რეალობას, თუ არ გააყალბებ და ხელოვნურ მანიპულირებას არ დაიწყებ, გამოხატავს ხალხის აზრს და შენ გინდა, რომ ხალხის აზრი იყოს იგნორირებული?! გაუგებარია ასეთი განცხადებების კეთება. მე მესმის, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი, მაგრამ ამას ხომ პოლიტიკოსობა არ სჭირდება. ამას ელემენტარული არითმეტიკა სჭირდება, 49 რომ 20-ზე მეტია, ეს ხომ ყველამ ვიცით და ვინც იქნება მეორე, რამდენი პროცენტიც არ უნდა ჰქონდეს, ოცი თუ ათი, ის უნდა გახდეს ქვეყნის პრეზიდენტი შენი ამ გადაწყვეტილებით და არა ის, ვისაც ხალხმა მისცა ორჯერ მეტი ხმა.

***– უკვე ბევრისგან მოვისმინეთ, რომ რადგან იყო ამდენი კანდიდატი, თავიდანვე იყო ჩადებული ის, რომ უნდა ყოფილიყო მეორე ტურიო. როგორ ფიქრობთ, ყველაფერი მართლაც წინასწარ დადგმული და დაგეგმილი იყო?***

– ჩვენ უნდა გამოვიდეთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხისთვის დამახასიათებელი ამბიციებიდანაც. საქართველოში საერთოდ ამბიციური ხალხი ვართ. ალბათ, ამდენი კანდიდატები ამაზეც მეტყველებს, თუმცა შესაძლოა ეს მართვადი პროცესიც იყო და ამდენი კანდიდატი შემთხვევითობა არ არის. არც ერთ ქვეყანაში არ დაფიქსირებულა, რაც ჩვენთან დაფიქსირდა. ვერ ვხვდები, რა პრობლემაა მეორე ტური, მთელს მსოფლიოში ტარდება და ჩვენთან რატომ არის კატასტროფა?! მსგავსი რამ არ მსმენია, რომ 60%-ზე ნაკლები არ მაკმაყოფილებს და მოვხსნი კანდიდატურასო. იქნებ არც სამოცი აკმაყოფილებს და ასი მოუნდეს? არაფერში არ ჯდება და არ წერია ეს განცხადებები. გაგიგიათ სადმე, ხმების უმრავლესობა ვინც მიიღო, ის ხსნიდეს კანდიდატურას?!

***– თუკი მართლაც მივიღეთ ასეთი სცენარი, რომ ბაქრაძე გავიდა მეორე ადგილზე და მარგველაშვილმა უარი თქვა მეორე ტურზე, მაშინ? ამ შემთხვევაში რას ველოდებით?***

– ამ შემთხვევაში გამოდის ის, რომ გზა გაუხსნეს ისევ ნაციონალებს და გაიმარჯვა ისევ იმ ძალამ, რომელიც ნაციონალური მოძრაობის უკან დგას.

***– ამას დაუშვებს ხალხი?***

– რა მოხდება ასეთი არჩევანის შემთხვევაში, ეს არავინ არ იცის, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩება. რა თქმა უნდა, ამას ველარავინ ველარ შეეგუება და შეიძლება ამას სერიოზული პროცესები მოჰყვეს ამ ქვეყანაში. ღმერთმა დაიფაროს და თუკი მართლა იმდენი გაყალბება შეძლეს, რომ ბაქრაძე საერთოდ რაიმე ადგილზე აღმოჩნდა და მით უმეტეს, მეორეზე და ამ შემთხვევაში კიდევ დაუთმო მარგველაშვილმა ბაქრაძეს, სხვა რა შეიძლება იყოს, თუ არა ის, რომ ეს არის გაკეთებული ვიღაცის დაკვეთით. ყველაფერი 27-ში გამოჩნდება, გავიგებთ, სინამდვილეში რა უნდა ხელისუფლებას.

# კახა კოჟორიძე: „ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილები შსს-მ შეიძინა“

ნათია ხურცილავა

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კვლევების პრეზენტაცია გუშინ გაიმართა. კვლევები სახელმწიფო მოხელეების ავტოპარკინგსა და საჩუქრების მიღება-არმიღებას ეხებოდა.

რა სურათი დადო იმ კვლევებმა, რომლებიც საბიუჯეტო გადამხდელების უმრავლესობის ინტერესის წყაროს წარმოადგენს?

რომელი სამინისტრო და მინისტრი გამოირჩევა „შავი ჯიპების“ მანიით?

„შავი ჯიპების“ ეპოპეა, როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში დიდხანს გაგრძელდება, რადგან ევროპულ გამოცდილებამდე და მის გაზიარებამდე ჯერ კიდევ შორია.

ორწელიწადნახევარში, წელიწადში სახელმწიფო დაწესებულებებმა ავტომანქანების შესაძენად 90 მილიონამდე ლარი დახარჯეს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კვლევის თანახმად, 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის ივლისის ჩათვლით, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებამ 2 146 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეისყიდა, რომელთა საერთო ღირებულებამ მთლიანობაში, 61.439.788 ლარი, 16.545081 დოლარი და 110.000 ევრო შეადგინა.

საჯარო დაწესებულებების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ტიპის რეგულაციების ნაკლებობაზე მიუთითებს, – ამის თაობაზე „საჯარო სამსახურებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესის“ შესახებ საიას მიერ ჩატარებულ კვლევაშია ნათქვამი, რომლის პრეზენტაციაც გუშინ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ოფისში გაიმართა.

კვლევაში განხილულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის, მთავრობის, კანცელარიის, საქართველოში არსებული ყველა სამინისტროსა და სახელმწიფო მინისტრის აპარატების, ასევე თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთისა და რუსთავის თვითმმართველობების მიერ 2011 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის ივლისის თვის ჩათვლით შესყიდული, ასევე უსასყიდლოდ და ჩუქების ფორმით მიღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემთხვევები.

საიას ინფორმაციით, 2011 წლიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონიტორინგის სუბიექტებმა 2 146 ავტოსატრანსპორტო საშუალება შეისყიდეს, რომელთა ღირებულებამ, ჯამში, 61 439 788 ლარი, 16 545 081 დოლარი და 110 000 ევრო შეადგინა.



კვლევის თანახმად, ყველაზე მეტად შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოირჩევა როგორც ჩუქებით მიღებული ქონების, ასევე შესყიდვისათვის დახარჯული თანხის რაოდენობით. როგორც საიას თავმჯდომარე, კახა კოჟორიძე აცხადებს, ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იქნა შეძენილი 2012 წლის ივლისში, რაშიც უწყებამ 100.000 ევრო გადაიხადა. ამასთან, როგორც კვლევაშია აღნიშნული, რუსთავის ადგილობრივმა თვითმმართველობამ ავტომობილი 170 000 ლარად შეიძინა.

რაც შეეხება ჩუქების ფაქტებს, გამოვლენილია ძვირადღირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ და ჩუქების სახით გადაცემის ტენდენცია. ამ მხრივ განსაკუთრებით მაღალია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის კერძო პირების მიერ ჩუქების ფორმით გადაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა რაოდენობამ, ჯამში, 87 შეადგინა. ასევე, საია აღნიშნავს, რომ ჩუქებისა და უსასყიდლო ფორმის სახით ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაცემის ფაქტების დიდი ნაწილი 2012 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელდა.

როგორც ჟურნალისტებს კახა კოჟორიძემ განუცხადა, მისი ინფორმაციით, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვების მოცულობამ იკლო. რაც შეეხება კერძო პირების მხრიდან ჩუქების შემთხვევები, საიამ არჩევნების შემდეგ მსგავსი ფაქტები ვერ გამოავლინა.

არასამთავრობო ორგანიზაციის ცნობით, შესწავლილ საჯარო დაწესებულებებს არ აქვთ მიღებული სამართლებრივი აქტი, რომლის ძალითაც შესაბამის უწყებებში განისაზღვრებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი, გადასახდელი თანხის მაქსიმალური ოდენობა და სხვა რეგულაციები.

კვლევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განხილულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის, მთავრობის კანცელარიის, ყველა სამინისტროსა და სახელმწიფო მინისტრის აპარატები, ასევე, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთისა და რუსთავის თვითმმართველობების მიერ აღნიშნულ პერიოდში როგორც შესყიდული, ისე უსასყიდლოდ და ჩუქების ფორმით ავტომანქანების მიღების შემთხვევები.

ძვირადღირებული ავტომობილების შეძენის ფაქტები ასევე დაფიქსირდა რუსთავის თვითმმართველობის, მთავრობის კანცელარიის, ფინანსთა სამინისტროს, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სხვა საჯარო დაწესებულებების მიერ.

როგორც საიას თავმჯდომარე კახა კოჟორიძემ განაცხადა, დღემდე არ არსებობს სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი, გადახდილი თანხის მაქსიმალური ოდენობა, ავტოპარკის განახლების წესი და პერიოდულობა.

– არ არსებობს საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებს. ეს დამოკიდებულია კონკრეტული საჯარო მოხელის ნებაზე. მაგალითად, რუსთავის ადგილობრივმა თვითმმართველობამ 170.000 ლარად ღირებული ავტომანქანა იყიდა. არ ვამბობ, რომ მინისტრებმა „ჟიგულებით“ უნდა იარონ, მაგრამ გაწერილი უნდა იყოს წესი და არსებობდეს ნორმატიული აქტები, – განაცხადა კოჟორიძემ.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელის განცხადებით, ავტომობილების შეძენისთვის დახარჯული თანხებით, ასევე, ჩუქებებით განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოირჩეოდა. კერძო პირების მიერ მისთვის ნაჩუქარმა ავტომობილების რაოდენობამ 87 შეადგინა. ამასთან, ჩუქებისა და უსასყიდლოდ მანქანების გადაცემის ფაქტების დიდი ნაწილი 2012 წელს განხორციელდა.

საიას თავმჯდომარე აცხადებს, რომ შესაძლებელია, დაწყებულიყო გამოძიება, რამდენად ნებაყოფლობით ხდებოდა ავტომობილების ჩუქება აღნიშნული უწყებისათვის.

რაც შეეხება აღნიშნულთან დაკავშირებით წინა და ახლანდელი ხელისუფლების შედარებას, საიას ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ახალი მთავრობის პირობებში, როგორც აღვნიშნეთ, შესყიდვების მოცულობა შემცირებულია, ჩუქების შემთხვევები კი, ფაქტობრივად, აღარ ფიქსირდება.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით დროულად მოწესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ განისაზღვროს სამართლებრივი ჩარჩო, რომელსაც ინსტრუქციის ხასიათი ექნება და ავტომობილების შესყიდვების პროცესის მარეგულირებელ კონკრეტულ წესს დაადგენს.

# ნინო ლომჯარია: „მოვუწოდებ მარგველაშვილს, თუ მეორე ტური დაინიშნება, კანდიდატურა არ მოხსნას“

ნათია ხურცილავა

ექსპერტების გარკვეული ნაწილი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს ვარაუდობს. „ქართული ოცნება“ მიზნის მიღწევას 27 ოქტომბერს აპირებს. პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მეორე ტურის შემთხვევაში მიაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა არც კი უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ივანიშვილის ასეთი დამოკიდებულება, როგორც პოლიტოლოგები ამბობენ, მცდარია, რადგან ყველა ქვეყანაში არჩევნების მეორე ტური დემოკრატიის პირველი ნიშანია, ნიშანია იმისა, რომ არჩევნები არ გაყალბებულა და ელექტორატი ღია არჩევანს აკეთებს.




პრემიერის პოზიციას იზიარებს სახელისუფლებო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ მეორე ტურის შემთხვევაში ის პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობის აუცილებლობას ვერ ხედავს.

საარჩევნო თემაზე მომუშავე არასამთავრობოებს მიაჩნიათ, რომ პრემიერის განცხადება, ირიბად თუ პირდაპირ, შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც ზეწოლა ამომრჩეველზე.

შეიძლება თუ არა ივანიშვილის გზავნილმა, რომლის ადრესატიც ამომრჩეველი იყო, გარკვეული გავლენა იქონიოს არჩევნებზე?

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელ ნინო ლომჯარიას მიაჩნია, რომ თუ პირველ ტურში გასული კანდიდატი მეორე ტურში გასვლაზე უარს იტყვის, ანომალიური სიტუაცია შეიქმნება.

„სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელმა ნინო ლომჯარიამ სააგენტო „პირველის“ პრესკლუბში განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში საკანონმდებლო ჩიხში შევდივართ.

– იმ შემთხვევაში, თუ პირველ ტურში გასული პირი მეორე ტურში გასვლაზე უარს იტყვის, ეს იქნება ნამდვილად ანომალიური სიტუაცია და, შესაძლებელია ვთქვათ, რომ საკანონმდებლო ჩიხში შევდივართ. გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო კოდექსში არის ნორმა, რომლითაც მეორე ტურში მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი, თუმცა არის ასევე ნორმა, რომელიც ამბობს, რომ თუ ორივემ არ მოხსნა კანდიდატურა განმეორებითი არჩევნები არ დაინიშნება. ცსკ-სგან გაკეთდა განმარტება, რომ ერთი კანდიდატის შემთხვევაშიც, შესაძლოა, ჩატარდეს მეორე ტური, რაც ჩემთვის უცნაურია, იმიტომ რომ ეს ნიშნავს, ერთმა ადამიანმაც რომ მისცეს მეორე ტურში ერთ კანდიდატს ხმა, ის გამარჯვებულად ჩაითვლება, რაც კანდიდატის ლეგიტიმაციისათვის არ არის საკმარისი. ამიტომ მე თავიდანვე უარყოფითად შევაფასე როგორც პრემიერ-მინისტრის, ასევე მარგველაშვილის აღნიშნული გადაწყვეტილება და, ვფიქრობ, ეს არასერიოზული იქნება და ძალიან სერიოზულ დარტყმას მიაყენებს საარჩევნო გარემოს, პროცესებს და მომავალი პრეზიდენტის ლეგიტიმაციას. მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, რომ მსგავსი ნაბიჯები, არ გადადგას და ამ თემაზე არ იფიქროს კანდიდატმა, გამომდინარე იქიდან, რომ სერიოზულ ჩიხში შეგვიყვანს ყველას, – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პირდაპირ ებმის მეორე ტურს, ვილნიუსის სამიტია, სადაც ჩვენი ქვეყნის ღირსეული წარმოჩენა მნიშვნელოვანია სამიტის საქართველოსთვის წარმატებით დასრულებისთვის.

ლომჯარიას მიაჩნია, რომ მეორე ტურის შემთხვევაში ახალი პრეზიდენტი ვილნიუსის სამიტზე დასწრებას ვერ შეძლებს.

– თუ მეორე ტური არ ჩატარდება, მაშინ პრეზიდენტის ინაუგურაცია არჩევნებიდან მესამე კვირა დღეს იმართება. ეს იყო პრაქტიკა, რაც მანამდე ყველა პრეზიდენტთან დაკავშირებით ხორციელდებოდა. ამ შემთხვევაში ინაუგურაცია 17 ნოემბერს უნდა შედგეს. ვილნიუსის სამიტი ამის შემდეგ რამდენიმე დღეშია და, შესაბამისად, ახალი პრეზიდენტი სამიტზე დასწრებას შეძლებს, თუმცა მეორე ტურის შემთხვევაში – ვერა, – განაცხადა ლომჯარიამ.

როგორია წინასაარჩევნო გარემო და საარჩევნო კოდექსი იძლევა თუ არა შესაძლებლობას, რომ რეალურად დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს ქვეყანაში. როგორც საარჩევნო საკითხებში ექსპერტი აცხადებს საარჩევნო კოდექსებში სერიოზული ხარვეზებია და საარჩევნო სისტემა მნიშვნელოვნად დასახვეწია.

– წლევანდელი არჩევნები არის საპრეზიდენტო არჩევნები, აქედან გამომდინარე, ის ცვლილებები, რაც ჩვენი ძალიან აქტიური მონაწილეობით შევიდა წინასაარჩევნოდ, ვფიქრობ, რომ მეტნაკლებად საკმარისი იყო იმისთვის, ნორმალური არჩევნები ჩატარებულიყო და კანონმდებლობის თვალსაზრისით ნაკლები პრობლემები ყოფილიყო. განსაკუთრებით ხაზს გავუსვამდი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებული ნორმების გამკაცრებას, რაც მოხდა. იმავეს ვერ ვიტყვი საპარლამენტო და თვითმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, თუ არაფერი შეიცვალა. მე ვფიქრობ, რომ სერიოზული ხარვეზებია ისევ საარჩევნო კოდექსებში და მნიშვნელოვნად არის დასახვეწი საარჩევნო სისტემა. საარჩევნო სიებთან დაკავშირებით კვლავ არსებობს პრობლემები, ამიტომ ძირეული ცვლილებებია საჭირო, მაგრამ ის ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რომ არ მომხდარიყო, ამ არჩევნებზე გავლენას ვერ იქონიებდა. მომავალ არჩევნებამდე ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებებია გასატარებელი, ეს იქნება კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებული, ხმის მიცემის პროცედურები და ა.შ. რაც საჭიროებს ფუნდამენტურ ცვლილებებს, – აღნიშნა ლომჯარიამ.

რა არის გამოკვეთილი პრობლემა წინასაარჩევნო პერიოდში? ამ კითხვაზე პასუხად „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი საჯარო მოხელეების აქტივობას ასახელებს.

ლომჯარიას შეფასებით, წინასაარჩევნო აგიტაციაში საჯარო მოხელეების მონაწილეობა კვლავ პრობლემად რჩება.

როგორც „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელმა წინასაარჩევნო გარემოს შეფასებისას განაცხადა, აღნიშნული პრობლემა, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე არსებულ პერიოდთან შედარებით, ნაკლებად შესამჩნევია.

– გასული წლის წინასაარჩევნო პერიოდთან შედარებით, მთავარი განსხვავება არის ის, რომ ნაკლებად დაძაბული და ძალადობრივია გარემო. შარშანდელი არჩევნებისთვის დამახასიათებელი იყო ის, რომ მთელი სახელმწიფო აპარატი, მათ შორის სამართალდამცველი ორგანოები, კონტროლის პალატა, ჩართული იყო კამპანიაში და ეწეოდა აგიტაციასა და სხვადასხვა საქმიანობას მმართველი პარტიის სასარგებლოდ და ეს აშკარად საგრძნობი იყო. წელს ნაკლებად ხდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, თუმცა კვლავ არის პრობლემატური ის, რომ წინასაარჩევნო აგიტაციებში მონაწილეობენ საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები, რაც, გასულ წელთან შედარებით, არ არის მასშტაბური და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევები არის როგორც სახელისუფლებო კანდიდატის, ისე ოპოზიციური კანდიდატის – დავით ბაქრაძის სასარგებლოდ, – განაცხადა ლომჯარიამ.

რაც შეეხება 27 ოქტომბერს საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას, როგორც ლომჯარიამ აღნიშნა, „სამართლიანი არჩევნები“ საპრეზიდენტო არჩევნებს ქვეყნის მასშტაბით 1000 დამკვირვებლით დააკვირდება და დარღვევებთან დაკავშირებით ორგანიზაცია დღის განმავლობაში რამდენიმე პრესკონფერენციას გამართავს.

# ნინო ბურჯანაძე: „ვურჩევ ბატონ მარგველაშვილს, მოემზადოს მეორე ტურისათვის“

საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში განაგრძობს საქართველოს რეგიონების მეორედ შემოვლას. გუშინ დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი საჩხერესა და ჭიათურას სტუმრობს.




როგორც „მედიანიუსს“ ბურჯანაძის საარჩევნო შტაბიდან აცნობეს, ხალხმრავალ შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველა ვაფასებთ იმ ღვაწლს, რომელიც ბიძინა ივანიშვილს აქვს ქვეყნის წინაშე, მათ შორის პირველ ოქტომბერს, ადამიანებს ესმით, რომ ხათრით პრეზიდენტის არჩევა არ შეიძლება.

ხალხმა კარგად იცის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია 27-ში ყველა მოვიდეს არჩევნებზე და აირჩიოს ის ადამიანი, ვისაც აქვს კომპეტენცია, გამოცდილება, ცოდნა, რომ მართოს ქვეყანა და ვინც არის ამ ძალიან მნიშვნელოვანი პოსტის დაკავების ღირსი. მე ვხედავ იმას, რომ ძირითადად ჩემი და მოსახლეობის ხედვები ემთხვევა ერთმანეთს. შემიძლია ვთქვა, რომ ადამიანები ზუსტად ისე აფასებენ მოვლენებს, როგორც მე და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანები იაქტიურებენ და დამიჭერენ მხარს“, – განაცხადა მან და დასძინა, – ყველაზე უარეს შემთხვევაში იქნება მეორე ტური. ამიტომ მინდა ვთქვა, რომ არანაირ 60, 65 და მითუმეტეს 75 %-ს გიორგი მარგველაშვილი ვერ მიიღებს. ეს არის ტყუილი, ასევე ტყუილია ის, რომ რაიმე შანსი აქვს ბაქრაძეს მეორე ადგილზე გასვლისა, ეს ვიღაცების სურვილი არის როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით, მაგრამ მოსახლეობის სურვილი ნამდვილად არ არის. მე ვურჩევ ბატონ მარგველაშვილს, მოემზადოს მეორე ტურისათვის და კარგი იქნება თუ დებატებშიც დაჯდება ჩემთან და მოასმენინებს ხალხს თავად როგორ აპირებს ქვეყნის პრობლემების გადაწყვეტას.“

**მედიანიუსი**

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# 2013 წლის 27 ოქტომბერს ტარდება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

**საარჩევნო უბანზე მისვლისას თან იქონიეთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე - დევნილის მოწმობა), ხოლო თუ ხართ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, თან იქონიეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქის პასპორტი**

## ხმის მიცემის პროცედურები:



- ნაკადის მომწესრიგებელთან გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა

  **გახსოვდეთ!**
  თუ აღმოჩნდება, რომ გაქვთ მარკირება, ვერ შეძლებთ კენჭისყრის შენობაში შესვლას და კენჭისყრაში მონაწილეობას

- რეგისტრატორთან გაიარეთ მარკირების პროცედურა

  **გახსოვდეთ!**
  მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში ვერ შეძლებთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას



- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტურეთ ბიულეტენის მიღება

- მიიღეთ რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული ბიულეტენი



- შედით ფარული კენჭისყრის კაბინაში, გააკეთეთ არჩევანი, შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სუბიექტის რიგითი ნომერი და გადაკეცეთ ბიულეტენი ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მიეცით ხმა

- კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, საარჩევნო ყუთთან მდგომი მაგიდიდან აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში

- სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

- ხმის მიცემის შემდეგ დატოვეთ საარჩევნო უბანი

ცესკოს ცხელი ხაზი: 251 00 51
www.cesko.ge

# ბიძინა ივანიშვილი: „თანამდებობას 24 ნოემბრამდე დავტოვებ!“

შორენა მარსაგიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნები კარს მოგვადგა. ახლა მთელი ერი იმის ფიქრში უნდა ვიყოთ, რა შედეგით დასრულდება ეს ღონისძიება. მაგრამ ამაზე მეტად ის გვაინტერესებს, როდის გადადგება ბიძინა ივანიშვილი. ამაზე მეტად კი იმის გაგება გვსურს, ვინ გახდება მისი ტახტის მემკვიდრე.

ამ თემაზე პრემიერი ღიად არ საუბრობს. ის მხოლოდ მინიშნებებითა და ქვეტექსტებით შემოიფარგლება. გვეუბნება, 20 წელი მინიმუმ თქვენ გვერდით ვიდგები, მაგრამ მივდივარო. თავის მემკვიდრეზეც არაფერს ამბობს გარკვევით. გაურკვევლობაში მყოფი ერი, ჟურნალისტებისა და ექსპერტების ჩათვლით, მკითხაობის რეჟიმზეა გადასული და გამორიცხვის მეთოდით ცდილობს ივანიშვილის მემკვიდრის ამოცნობას. სამწუხაროდ, ეს ისეთი ამბავია, სადაც ანალიზში შესვლა ძალიან ძნელია.

მისი ოპონენტები იმაზე ჩივიან, რომ ივანიშვილი ქვეყნის მართვას კულუარებიდან აპირებს, რასაც ეს უკანასკნელი კატეგორიულად უარყოფს. ამ თემაზე ბიძინა ივანიშვილმა „ფრანს პრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუშიც ისაუბრა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ქვეყნის მართვას კულისებიდან გააგრძელებს.



– ვრცელდება ხმები, რომ მე კულისებიდან ვაპირებ ქვეყნის მართვას. კულისებიდან მმართველობაში ლოგიკას ვერ ვხედავ. არ ვაპირებ იქიდან მოქმედებას, – აღნიშნა „ფრანს პრესთან“ საუბარში ბიძინა ივანიშვილმა.

თანამდებობიდან წასვლის ზუსტი თარიღი ივანიშვილს არც ამ ინტერვიუში დაუსახელებია. მხოლოდ ის თქვა, როდისთვის დატოვებს თანამდებობას.

ფრანგულ სააგენტოსთან საუბრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებიდან მალე დატოვებს თანამდებობას.

– ინაუგურაციიდან ერთ კვირაში გადავდგები და პრემიერ-მინისტრის პოსტს 24 ნოემბრამდე დავტოვებ. სავარაუდოდ, გიორგი მარგველაშვილი პირველივე რაუნდში გაიმარჯვებს. ვამტკიცებ, რომ მეორე ტური არ იქნება. არავის აქვს უფლება, შეაფერხოს საქართველოს მთავარი სტრატეგია ევროპასა და ევროატლანტიკურ ალიანსში. ჩვენ უნდა ვაშენოთ დემოკრატიული ინსტიტუტები და ყოველთვის იმას არ უნდა ვუყურებდეთ, ვინ არის ჩვენი პრეზიდენტი, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა „ფრანს პრესთან“ საუბრისას.

წინა კვირაში ქართულ მედიასთან შეხვედრის დროს ივანიშვილმა განაცხადა, რომ მას არ სურს, ქვეყნის პრეზიდენტი ციხეში იჯდეს. ამბობენ, კოაბიტაცია სწორედ ამიტომ დაგვაძალეს, რომ სააკაშვილი ციხეში არ წავიდეს.

ფრანგულ სააგენტოსთან საუბრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა არ გამორიცხა, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ის სასამართლოს წინაშე წარდგეს.

– სააკაშვილი პოლიტიკური გვამია. მას აღარასოდეს ექნება პოლიტიკური კარიერა საქართველოში. ჩემი აზრით, სააკაშვილს ბევრი შეკითხვისთვის აქვს პასუხი გასაცემი და სწორედ ამიტომ არსებობს დიდი ალბათობა, რომ ის დაიკითხება, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის თქმით, პროკურორები გადაწყვეტილებას გამოძიებაზე დაყრდნობით მიიღებენ და ეს არ იქნება პოლიტიკურად მოტივირებული.

# ანზორ წოწონავა: „საქართველოს განვითარება ორხელისუფლებიანობამ შეაფერხა“

შორენა მარსაგიშვილი

## ინტერვიუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ანზორ წოწონავასთან

***– ბატონო ანზორ, როგორ შეაფასებდით ბიძინა ივანიშვილის წასვლას პოლიტიკიდან საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ? რამდენად არის მომზადებული ჩვენი საზოგადოება, ქვეყანა ამ გარდამავალ პერიოდში, რომ კოალიციის ლიდერმა დატოვოს აქტიური პოლიტიკა?***

– ბატონი ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება უახლოეს დროში პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ნამდვილად არის სიახლე ქვეყანაში მართვის დემოკრატიული სისტემის დამკვიდრების საქმეში. ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვართ კომუნისტური პერიოდის გავლენის ქვეშ, როდესაც ქვეყნის მართვა მთლიანად დამოკიდებული იყო ერთ პიროვნებაზე და არა სამართლებრივ სისტემაზე. კაცობრიობამ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე გაიარა რთული ისტორიული პერიოდი, რომ გარკვეულწილად დამყარებულიყო სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული სისტემა. ისმის კითხვა: სად და რომელ ქვეყნებში იქნა უკეთ მიღწეული დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა, სადაც ხალხის ნება იქნებოდა რეალიზებული? ამის პასუხი არაა ისე ადვილი მოსაძებნი, რადგანაც ყველა სახელმწიფომ, თავისი ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარე, მიაღწია ცივილიზებული დემოკრატიული მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, რასაც წინ უძღოდა ქვეყანაში სამოქალაქო სამართლებრივი საზოგადოების შექმნა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ცივილიზებული სამოქალაქო პრინციპების დამკვიდრებას მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში წინ უძღოდა წინააღმდეგობები, სამოქალაქო ომები და სისხლისღვრა, ინფლაცია და კრიზისი. ამის ნათელი მაგალითებია ამერიკის ოცდაათწლიანი სამოქალაქო ომი, საფრანგეთის სისხლიანი რევოლუციები, ინგლისში მონარქიისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობის ჩამოყალიბებისას მწვავე სისხლიანი დაპირისპირებები და მრავალი სხვა ისტორიული მოვლენა.

საქართველომ ცივილიზებული თანამეგობრობის მხარდაჭერით დამოუკიდებლობის ორი ათეული წელი მოანდომა იმ გზის გავლას, რომელიც ევროპის ქვეყნებმა 100-150 წლის განმავლობაში სამოქალაქო დაპირისპირებაში სისხლისღვრით, ინფლაციითა და კრიზისით გაიარეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვაქვს სერიოზული პრობლემები ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივი მართვის სისტემის ჩამოყალიბებაში, დემოკრატიული ნორმების გამყარებასა და ადამიანის უფლებების დაცვაში, რაც ცალსახად დაადასტურა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებმა, სადაც მაშინდელმა ოპოზიციამ -„ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველთა ხმების 60% მიიღო. ძირითადად ამომრჩეველთა ხმები გადანაწილდა ორ პოლიტიკურ ძალას შორის, თუმცა ეს არ გამოხატავს რეალურ საზოგადოებრივ აზრს, რადგან არჩევნების პერიოდში ყოფილმა ხელისუფლებამ მაქსიმალურად გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსი, რაც ადეკვატურად აისახა არჩევნების შედეგებზე. ტოტალური ზეწოლის გზით ნაციონალურმა მოძრაობამ მაინც შეძლო, მიეღო ამომრჩეველთა ხმების 40%. არჩევნების სამართლიანობა ეჭვის ქვეშ დააყენა ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ.

უკვე ერთი წელია, რაც ქვეყნის მმართველობაში ორხელისუფლებიანობაა. სიტუაციას ამძიმებს უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოში – პარლამენტში შექმნილი მდგომარეობა, რომელიც დროულად ვერ ახერხებს კონსენსუსის მიღწევას საკანონმდებლო პაკეტების მისაღებად, რათა დამყარდეს სრული ბალანსი ქვეყნის სახელისუფლებო შტოებს შორის, რათა შეიცვალოს ის ვითარება, როდესაც ბოლო 9



წლის განმავლობაში კონსტიტუციაში შეტანილი გაუაზრებელი, ნაჩქარევი ცვლილებებით ქვეყანა ერთპიროვნული, ვოლუნტარული მართვის ქვეშ მოექცა. ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას ასევე სერიოზულად აფერხებს გაურკვევლობა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, რომელიც კონსტიტუციაში დღემდე არ არის განსაზღვრული. არ ვიცით, როგორი იქნება ის – რეგიონული, ფედერაციული, კონფედერაციული თუ უნიტარული? რეალურად არ არის გამიჯნული უფლებამოსილება ცენტრსა და რეგიონებს (რაიონი, ქალაქი) შორის, რაც სერიოზულად უშლის ხელს ქვეყნის დემოკრატიულ აღმშენებლობას, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, მათი საქმიანობის და ეფექტიანობის სრულყოფას. პრაქტიკულად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბაზრო ეკონომიკას, ქვეყნის მართვის სამართლებრივი სისტემის მექანიზმი გარკვეულწილად რჩება ისეთივე, როგორიც იყო დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.

***– თქვენი აზრით, რა უნდა იყოს პრიორიტეტული დღევანდელი ხელისუფლებისთვის, რათა ქვეყანა დაადგეს მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზას, შეძლოს შიდა პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევა, მაქსიმალურად შესრულდეს წინასაარჩევნო დაპირებები და აღდგეს სამართლიანობა?***

– ხელისუფლების ძალისხმევის პირველი შედეგი ყველა მიმართულებით სახეზეა. ძნელია, ჩამოთვალო ყველაფერი, რისი გაკეთება გახდა შესაძლებელი ამ ერთი წლის განმავლობაში. ეს, პირველ რიგში, ეხება ადამიანის უფლებების დაცვას, ბიზნესზე წნეხის მოხსნასა და მისთვის მიყენებული ზარალის აღდგენას. განხილულია ათასობით განცხადება ბიზნესის წართმევაზე, უკანონო პატიმრობაზე, სასჯელაღსრულების სისტემაში დაშვებულ არაადამიანურ მოპყრობაზე. პარლამენტმა მიიღო კანონი ფართო ამინისტიის შესახებ, რომელსაც სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციამ. პრეზიდენტმა სააკაშვილმა კი მას ვეტო დაადო, რომელიც დაძლეულ იქნა. 200-მდე პოლიტიკური პატიმარი და კიდევ რამდენიმე ათასი უკანონოდ გასამართლებული დაუბრუნდა საკუთარ ოჯახს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ყოფილი ხელისუფლება მმართველი პარტია და მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი „ოპონირებით“ დღესაც სერიოზულად უშლის ხელს ამჟამინდელ ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით სერიოზული პრობლემების მოგვარებაში, ყოველნაირად ცდილობს მის დისკრედიტაციას საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვადასხვა ქვეყნის ლიდერების წინაშე. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, უარყოფითად მოქმედებს საინვესტიციო გარემოზე. გასაკვირი არ არის ის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის მიერ საგაზაფხულო სესიის პერიოდში მიღებულ 17 კანონს ვეტო დაადო და ამით შეაფერხა მათი დროულად ამოქმედება.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, კანონმდებლობაში არსებული იმ ხარვეზების დაძლევას, რომელიც ფაქტობრივად ზღუდავს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესს, კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული დრო სჭირდება. სწორედ ეს ვითარება გარკვეულ წილად ამუხრუჭებს ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას. ყოფილი მმართველი პარტია, დღევანდელი ე.წ. ოპოზიცია კი „კარგად“ იყენებს ამ სიტუაციას ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის. თუმცა მისი მცდელობა საბოლოოდ ფუჭი გამოდგება, რადგან ხალხის უმეტესი ნაწილი მხარს უჭერს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც უზარმაზარი ძალისხმევით გააერთიანა ქართველი ერი და მთელი მოსახლეობა. ჩვენმა საზოგადოებამ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რეალურად იგრძნო თავისუფლების ფასი და, რაც მთავარია, პოლიტიკური არენა გათავისუფლდა საზოგადოებაში გაუგებარი წარმომავლობის ურა პატრიოტებისაგან.

ძნელად წარმოსადგენია დღეს ჩვენთვის, რომ საქართველოში დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ იყო დაფიქსირებული 250-ზე მეტი პოლიტიკური პარტია და სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობები, რომლებიც თვითდამკვიდრების მიზნით ებრძოდნენ ერთმანეთს, საზოგადოება კი შეიყვანეს პოლიტიკურ და სამართლებრივ ნიჰილიზმში. დღითიდღე იძაბებოდა სიტუაცია ქვეყანაში, რადგანაც ხელისუფლების დაპირებები და საქმე ერთმანეთს ძალიან იყვნენ დაშორებული, რამაც 2004 წლიდან 9 წლის განმავლობაში პიკს მიაღწია. ხალხი ელოდა პოლიტიკოსს, ლიდერს, პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც გამოიყვანდა ქვეყანას ამ გასაჭირიდან. ერთადერთი იმედი აღმოჩნდა დედაეკლესია, რომელიც უნერგავდა მას მოთმინებისა და სამართლიანობის აღდგენის რწმენას. ძნელია, გიყვარდეს სამშობლო, ოჯახი, შენი ხალხი, გქონდეს საჭირო ინტელექტი, რესურსი და გულგრილად უყურო შენი ხალხის ტანჯვას, რომ არ უშველო შენს ქვეყანას. იმ მძიმე პერიოდში ეს მისია „ქართულია ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა იტვირთა. გასული წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხალხმა აღიარა ბიძინა ივანიშვილი ლიდერად და მის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ მომავალში ქვეყნის წარმატებული განვითარება. ამ მოსაზრებას იზიარებს ექსპერტთა გარკვეული ნაწილიც.

ივანიშვილმა რეალურად შეასრულა ხალხის წინაშე დადებული პირობა, რომ არჩევნები იქნებოდა მოგებული და სამართლიანობა აღდგენილი, მაგრამ საკანონმდებლო მარწუხებისა და ორხელისუფლებიანობის პირობებში ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესი გარკვეულწილად შეფერხდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პრეზიდენტმა საგაზაფხულო სესიების პერიოდში ვეტო დაადო პარლამენტის მიერ მიღებულ 17 კანონს, რომელთა დროული ამოქმედება მნიშვნელოვანი იყო მთელი რიგი პრობლემების მოსაგვარებლად. სამწუხაროა, მაგრამ დღესაც გრძელდება პოლიტიკური საბოტაჟი ყოფილი მმართველი პარტიის მხრიდან. მისი წარმომადგენლები ყოველნაირად ცდილობენ დემოკრატიული განვითარების პროცესების დამუხრუჭებას, ხელისუფლების დისკრედიტაციას ქვეყნის შიგნით და გარეთაც, რადგანაც ჯერ კიდევ აქვთ შემორჩენილი სათანადო პოლიტიკური ბერკეტები. დღეს აუცილებელია საზოგადოებრივი სექტორის გააქტიურება, მისი გაჯანსაღება და ხელისუფლებასთან მისი თანამშრომლობის დამკვიდრება, რომ ხალხის ინიციატივა არ იყოს გაყინული. პრემიერ ბ. ივანიშვილის გამოსვლებიდან ნათლად ჩანს, რომ მას სურს შექმნას მთავრობა, რომელიც იქნება ხალხის მიერ დაქირავებული და არა ხალხი მთავრობის სამსახურში. ამიტომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა და მისი სამოქალაქო სექტორში გადასვლა სრულყოფილი მმართველობის სისტემის შექმნის წინაპირობაა, რაც გამორიცხავს ქართველ საზოგადოებაში დამკვიდრებულ მავნე ტრადიციას – ლიდერზე დამოკიდებულებას. დღევანდელი რეალობა ითხოვს საზოგადოებრივი ურთიერთობების ახალ, არასტანდარტულ პოლიტიკურ ტექნოლოგიებს.

***– ბიძინა ივანიშვილის გადადგომას სკეპტიკურად აფასებენ პოლიტოლოგები, ექსპერტები და საზოგადოების გარკვეული ნაწილი. ისინი თვლიან, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებით გამოხატულ ხალხის ნებას შეიძლება საფრთხე დაემუქროს. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?***

– ცივილიზებულ სამყაროსთან ინტეგრაციის სასარგებლოდ გაკეთებული სტრატეგიული არჩევანი გვაძლევს იმის იმედს, რომ საქართველო გახდება ცივილიზებული სამყაროს სრულფასოვანი სუბიექტი. ამ 22 წლის განმავლობაში ჩვენი თაობა გახდა დამოუკიდებელი, ქვეყნის აღმშენებლობის მონაწილე. რეალურად 3-ჯერ შეიცვალა ხელისუფლება, 2-ჯერ ძალადობრივი გზით, ხოლო მესამედ როგორ „დათმო“ ხელისუფლება დემოკრატიულად „ნაცმოძრაობამ“, კარგადაა ცნობილი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მაინც არის დემოკრატიული აღმავლობის ტენდენცია და გარდამავალი პერიოდი გვაძლევს იმის შანსს, რომ დამყარდეს სრული სამართლებრივი წესრიგი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ არსებული წინააღმდეგობების გადალახვა დამოკიდებულია საზოგადოებაში წლების მანძილზე დამკვიდრებული პოლიტიკური და სამართლებრივი ნიჰილიზმის დაძლევაზეც. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო საზოგადოების კონსოლიდაცია და ხელისუფლება ჩაიბარა ფაქტობრივად ავტორიტარული საკანონმდებლო აქტებით, რომელიც დღემდე ამუხრუჭებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და, რაც მთავარია, სამართლიანობის აღდგენას. ჯერ კიდევ დიდი კითხვის ქვეშ დგას სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის საკითხი. ამიტომ ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის აღდგენის უმთავრესი საკითხები რეალურად გადაწყდება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. იმედია, პირველ ეტაპზე ამით მივაღწევთ ქვეყანაში კონსტრუქციული, დემოკრატიული ოპონირების ინსტიტუტების ამოქმედებას, რაშიც უმთავრესი ადგილი უნდა დაიკავოს სამოქალაქო სექტორმა – არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და მოძრაობებმა. ასევე უმთავრესი როლი ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილების გაფართოებას, მათი შემოქმედებითი საქმიანობის სრულყოფას. ამით შესაძლებელი გახდება თითოეული ჩვენი მოქალაქის აქტიური ჩართვა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. როგორც ცნობილია, გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ ბიძინა ივანიშვილს ადრევე ჰქონდა გაცხადებული და ამ დაპირების შესრულებისათვის ემზადება. მთავარი მიზანი – საზოგადოების კონსოლიდაცია – მიღწეულია. სიბრძნე, ურთიერთკეთილგანწყობა, რომელიც ჩვენს ხალხს მოდუნებული აქვს, საერთო კეთილდღეობისათვის ამუშავებულ უნდა იქნეს. ბიძინა ივანიშვილის გადადგომა ანუ სახელისუფლებო მმართველობიდან მისი გასვლა სულაც არ ნიშნავს პოლიტიკური აქტიურობიდან პასიურ პოზიციაში გადაადგილებას. პირიქით, მისი ეს ნაბიჯი მიმართულია საზოგადოების გააქტიურებისაკენ. ოღონდ ეს უნდა მოხდეს იმ დროს და ისეთნაირად, რომ უზრუნველყოფილი იყოს სტაბილიზაცია, კანონის უზენაესობა და ეკონომიკური წინსვლა. თუ დაიწყო ქაოსი, მაშინ საზოგადოებაში „მტკიცე ხელის“ მოთხოვნილება გაჩნდება და სრულიად საპირისპირო შედეგს მივიღებთ.

# შალვა ნათელაშვილი: „გამორიცხულია, რომ არჩევნები ვერ მოვიგო“

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებულია და კოალიციის ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებს, ხელი აიღოს არჩევნების გაყალბებაზე.**

შრომის პარტიის ლიდერი აცხადებს, რომ ის 27 ოქტომბრის არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში საკუთარ მომხრეებს რუსთაველზე დაუძახებს და გააპროტესტებს არჩევნების გაყალბებას.

გუშინ ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა საკუთარი წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია გამართა და მას ცხრა ნაბიჯი გამარჯვებისკენ უწოდა.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, ნათელაშვილის პრეზიდენტად არჩევა იქნება დემოკრატიის, მშვიდობის, სიმართლის, ქვეყნის ეროვნული და ტერიტორიული გამთლიანების, თითოეულ ადამიანზე, ოჯახზე, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად სახელმწიფო ზრუნვის გარანტია. აქტიურად დაიწყება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემომტკიცების, მოძმე აფხაზ და ოს ხალხთან შერიგების პროცესი.

– ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში საქართველო გახდება ისეთი ქვეყანა, რომელსაც წლების მანძილზე ვნატრობთ. იქნება სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყანა. დაიწყება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; ამიერკავკასიის ხალხებთან კულტურული და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი. შეწყდება საქართველოში ზესახელმწიფოთა დაპირისპირება, ქვეყანა გადაიქცევა მსოფლიო პოლუსების თანამშრომლობის სივრცედ, – აცხადებს შალვა ნათელაშვილი. მისი თქმით, რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენა აუცილებელია. ეს კი თავის მხრივ რუსეთის ბაზრის გახსნასაც გულისხმობს, რაც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს.

პრეზიდენტობის კანდიდატის საქართველოს გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე მესამე ნაბიჯად მიჩნეულია განათლების სფეროს მოწესრიგება და ქვეყანაში უფასო განათლების დამკვიდრების აუცილებლობა.

– განათლება მთლიანად ბაგა-ბაღებიდან უმაღლესამდე იქნება ბიუჯეტიდან დაფინანსებული. სტუდენტებზე აღდგება სტიპენდიის გაცემა. გაიზრდება ლექტორ-პედაგოგთა ხელფასები. ნიჭიერი ახალგაზრდები მასობრივად გაიგზავნებიან უცხოეთის უმაღლესებში განათლების მისაღებად სახელმწიფოს ხარჯზე, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა, რომელიც თავის საარჩევნო პროგრამაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ჯანმრთელობის დაცვას სახელმწიფოს მხრიდან.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი აცხადებს, რომ არჩევნებში მისი გამარჯვების შემთხვევაში ჯანდაცვა, გადაუდებელი ოპერაციების ჩათვლით, მთლიანად დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ამასთან, გაიზრდება სამედიცინო პერსონალის ხელფასები, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიკამენტები კი უმწეოთათვის უფასო იქნება.

– სიცოცხლის გადასარჩენად საჭირო აღარ იქნება ბინების ბანკში ჩადება და სასიცოცხლოდ აუცილებელ მედიკამენტებს ავადმყოფები უფასოდ მიიღებენ, – აღნიშნა ნათელაშვილმა, რომელიც თავის პროგრამაში ერთ-ერთ პრიორიტეტად ახალგაზრდობის პრობლემებს ასახელებს.

ქვეყნის პირველი ლეიბორისტი აცხადებს, რომ ქორწინების რეგისტრაცია, ერთკვირიანი მოგზაურობა და მშობიარობა იქნება უფასო. ეს კი ქვეყანაში ოჯახების შექმნას და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას ხელს შეუწყობს.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი აცხადებს, რომ მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში სტრატეგიული ობიექტები და სიმდიდრეები დაუბრუნდება სახელმწიფოს საერთო-სახალხო საკუთრებაში. აიკრძალება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვა უც-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# მასწავლებლებზე დაკვირვება იგეგმება

მერი ნამორაძე




სულ მალე პედაგოგებს გამოცდების ეროვნულ ცენტრთან სასაყვედურო ნაკლებად ექნებათ. საზოგადოებამ იცის, პედაგოგთა ნაწილი ცენტრს იმაში ადანაშაულებდა, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებს საგაკვეთილო პროცესთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. უახლოეს მომავალში სასერტიფიკაციო გამოცდებს პრაქტიკული ნაწილიც დაემატება, რათა შემოწმდეს, რამდენად ეფექტურად მუშაობენ პედაგოგები მოსწავლეებთან. ასე რომ, გაკვეთილის წარმართვასთან არანაირ კავშირში მყოფ საკითხებთან ერთად პედაგოგებს ეროვნული ცენტრის იმაში დარწმუნებაც მოუწევთ, რომ ბავშვებისათვის ცოდნის გადაცემის შესაბამისი უნარი გააჩნიათ.

როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი აცხადებს, სკოლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა და მხოლოდ თეორიული ცოდნა საკმარისი არ არის. აუცილებელია, მოხდეს მასწავლებლებზე დაკვირვება, თუ როგორ ახერხებენ ეფექტურად მუშაობას მოსწავლეებთან. ამიტომ გამოცდებს პრაქტიკული ნაწილიც დაემატება.

–ამ თემაზე საუბარი გიორგი მარგველაშვილის განათლების მინისტრად დანიშვნის შემდეგ დაიწყო. ის, რომ ახლანდელი პროცესი არასრულყოფილია, არაერთხელ გვითქვამს. კატეგორიული მომხრეები ვიყავით თავიდანვე, რომ შეფასება უნდა იყოს მრავალმხრივი და არ შეიძლება, სერტიფიკატი გაიცეს მხოლოდ ერთი ან ორი გამოცდის შედეგად. მრავალი კომპონენტი უნდა შემუშავებულიყო თავიდანვე, თუმცა, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. თეორიულ ნაწილს უნდა დაემატოს უმნიშვნელოვანესი, პრაქტიკული ნაწილი. პრაქტიკული ნაწილი არის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი. კარგია თეორიული ცოდნა, მაგრამ მეორეა, თუ რამდენად ახერხებს ეფექტურად მუშაობას მოსწავლეებთან მასწავლებელი. ასევე დარჩება თეორიული ნაწილიც, რომელიც აუცილებელია, თუმცა – არასაკმარისი, – განაცხადა მიმინოშვილმა.

უკვე მიმდინარეობს მუშაობა სქემის ჩამოსაყალიბებლად, თუ როგორ მოხდება მასწავლებლების დაკვირვება სწავლების პროცესში. რაც შეეხება ახალი კომპონენტის დამატების ვადებს, როგორც მიმინოშვილი აღნიშნავს, ეს პროცესი რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდება.

პროექტის განსახორციელებლად გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მსოფლიო ბანკის გრანტი მოიპოვა. პროექტის განხორციელება გრანტით ორ წელზეა გაწერილი, თუმცა ცენტრი შეეცდება, უფრო მოკლე ვადებში განახორციელოს პროექტი. მიმინოშვილის თქმით, ასევე მიმდინარეობს მუშაობა იმ მიმართულებით, თუ როგორ მოხდება ახალი კომპონენტის განსაზღვრა უკვე სერტიფიცირებულ მასწავლებლებზე.

ასე რომ, პედაგოგებს ახალი „თავსატეხი“ გაუჩნდათ, რამაც ანაზღაურებაზეც უნდა იქონიოს გავლენა, თუმცა ამაზე ჯერ არავინ საუბრობს.

# 10 გავრცელებულ დაავადებას შორის არტერიული ჰიპერტენზია ლიდერობს

მერი ნამორაძე



გულ-სისხლძარღვთა დაავადებები მსოფლიოში სიკვდილობის წამყვან მიზეზად რჩება. არაგადამდები დაავადებებით 36 მილიონი გარდაცვალებიდან თითქმის ნახევარი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე მოდის. 2012 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ მსოფლიო ასამბლეაზე, 194 ქვეყნის მთავრობის მხარდაჭერით ვალდებულება აიღო, არაგადამდები დაავადებების და მათ შორის კარდიოვასკულური დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილობა 2025 წლისთვის 25%-ით შემცირდეს, თუმცა მხოლოდ მედიკოსთა მონდომება ვერაფერს შეცვლის, თუ საზოგადოება არ გააცნობიერებს რისკ-ფაქტორების გავლენას ამ დაავადებების მართვაზე.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გარდაცვლილთა 80% რეგისტრირებულია დაბალ და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში. გამონაკლისი არც ქართული პოპულაციაა. საქართველოში ავადობისა და სიკვდილობის სტრუქტურაში პრიორიტეტულად სწორედ კარდიოვასკულური დაავადებები რჩება. 10 ყველაზე გავრცელებულ პათოლოგიას შორის პირველ ადგილზეა არტერიული ჰიპერტენზია. მისი გავრცელების მაჩვენებელი 2004-2010 წლის პერიოდში დაახლოებით 1.5 ჯერ გაიზარდა. არტერიული ჰიპერტენზია სისხლძარღვოვანი კატასტროფების – მიოკარდიუმის ინფარქტისა და თავის ტვინის ინსულტის ძირითადი რისკის ფაქტორია.

გულის დაავადებებისა და ინსულტის ძირითად რისკ-ფაქტორებად მაღალი არტერიული წნევა, სისხლში ქოლესტეროლისა და გლუკოზის მაღალი დონე, თამბაქოს მოხმარება, ხილისა და ბოსტნეულის არასაკმარისი მიღება, ჭარბი წონა, სიმსუქნე და დაბალი ფიზიკური აქტივობა რჩება. მედიკოსები ამ ფაქტორებს მოდიფიცირებადს უწოდებენ, მაგრამ არსებობს არამოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორებიც, რომელთა შეცვლა შეუძლებელია. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, ადამიანებმა, რომელთაც აქვთ მაღალი რისკი ამ მიმართულებით, უნდა გაიარონ რეგულარული შემოწმება.

საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევის შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის 40%-ს სამი ან მეტი რისკის ფაქტორი აღენიშნება. საყურადღებოა არტერიული ჰიპერტენზიის დინამიკა ბავშვებში, რომლის გავრცელების მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში 2.5-ჯერ გაიზარდა. ბავშვთა ადრეულ ასაკში მაღალი არტერიული წნევის ეფექტური მართვით მოზრდილებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი მცირდება. არამოდიფიცირებულ რისკ-ფაქტორებს განეკუთვნება ასაკი – კარდიოვასკულური დაავადებების გავრცელების ზრდა უფრო მეტად ასაკის მატებასთან ერთად ხდება. მიუხედავად დაავადების არქონისა, წლების განმავლობაში ადამიანის გული განიცდის მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ ცვლილებებს. კარდიოვასკულური დაავადებები აზიანებს გულს, ხოლო ასაკთან დაკავშირებული ცვლილებები ამწვავებს პრობლემას ან მის მკურნალობას.

მეორე არამოდიფიცირებული რისკ-ფაქტორია სქესი – გულის დაავადებების განვითარების რისკის უფრო მაღალია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში, მენოპაუზამდელ პერიოდში. მენოპაუზის შემდეგ ქალისა და მამაკაცის რისკი თანაბარია ინსულტის განვითარებაში.

რაც შეეხება ოჯახის ისტორიას, მემკვიდრული ფაქტორი გულ-სისხლძარღვთა დაავადების მხრივ, მიუთითებს პიროვნების რისკზე. თუ პირველი რიგის სისხლის ნათესავს ჰქონდა გულის კორონარული დაავადება ან ინსულტი 55 წლის ასაკამდე (მამრობითი ნათესავი) ან 65 წლამდე (მდედრობითი ნათესავი), ამ შემთხვევაში რისკი იზრდება.

საყურადღებოა არტერიული ჰიპერტენზიის დინამიკა ბავშვებში, რომლის გავრცელების მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში 2.5-ჯერ გაიზარდა. ბავშვთა ადრეულ ასაკში მაღალი არტერიული წნევის ეფექტური მართვით მოზრდილებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი მცირდება.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები უპირველეს მკვლელად არის მიჩნეული ქალებშიც, თუმცა სუსტი სქესის წარმომადგენლები ხშირად არ აფასებენ ინვალიდობისა და სიკვდილობის რისკს გულის დაავადებებისა თუ ინსულტის შემთხვევაში.

# საარჩევნო ბიულეტენები 10 სტამბაში იბეჭდება

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დღეიდან საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა დაიწყო. 27 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის ბიულეტენები 10 სტამბაში იბეჭდება.

ცესკო-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, სულ 3 348 900 ბიულეტენი დაიბეჭდება. ბეჭდვის პროცესს კი, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებთან ერთად, 8 არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებლები აკვირდებიან – „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“, „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „ასოციაცია საქართველოს იდეალისტები ერთად ერთობისათვის“, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“, „საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი“, „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისთვის“, „საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების კავშირი“, „კავშირი თემი და თვითმმართველობა“.

ბიულეტენები ასევე იბეჭდება ეთნიკური უმცირესობების ენებზე – სომხურ-ქართული, აზერბაიჯანულ-ქართული, ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური. ამასთან, უსინათლო ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა იბეჭდება, რომლის საშუალებითაც ამომრჩეველი დამოუკიდებლად მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას. ფორმის გამოყენებას შეძლებს, როგორც ბრაილის შრიფტის მცოდნე, ისე ის უსინათლო ამომრჩეველი, რომელიც ბრაილს ვერ კითხულობს.

ნიუსპრესი

# გიორგი თარგამაძემ საპრეზიდენტო პროგრამა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს გააცნო

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატმა, გიორგი თარგამაძემ საპრეზიდნეტო პროგრამა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს „სკაიპ კონფერენციის“ საშუალებით გააცნო. როგორც „მედიანიუსს“ ქდმ-დან აცნობეს, გიორგი თარგამაძის სკაიპ-კონფერენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებთან თითქმის 3 საათს გაგრძელდა. ქრისტიან-დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატს კითხვები ათობით ქვეყნიდან, მათ შორის ჰოლანდიიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან და ინდოეთიდანაც კი დაუსვეს.

საპრეზიდენტო პროგრამისა და ქვეყნის განვითარების ქრისტიან-დემოკრატიული ხედვის წარდგენის შემდეგ, გიორგი თარგამაძესა და კონფერენციის მონაწილეებს შორის გულწრფელი დისკუსია გაიმართა, რომელის თემები მოიცავდა ეკონომიკას, სოფლის მეურნეობას, ჯანდაცვასა და განათლებას, საგარეო პოლიტიკას და ქართველი ემიგრანტების პრობლემებს.

მედიანიუსი

# შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, საქართველოში ჩეხეთის ელჩს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით სუჯაშვილი გუშინ ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში ივან იესტრჟაბს შეხვდა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და ჩეხეთს შორის სამართალდამცავ სფეროში არსებული თანამშრომლობის საკითხები და თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები განიხილეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ იესტრჟაბს ასევე მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

ნიუსპრესი

# პოლიციამ ჯგუფური ყაჩაღობის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მცხეთის რაიონული სამმართველოსა და საგურამოს პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყაჩაღობის ბრალდებით, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლაშა კ. და 1990 წელს დაბადებული, წარსულში სამჯერ ნასამართლევი გიორგი გ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ცივი იარაღით შეიარაღებულმა ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს, მცხეთის რაიონში, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1967 წელს დაბადებულ მიხეილ კოკორიანს ავტომანქანა „მერსედესი“, ფული, მობილური ტელეფონი და სხვა პირადი ნივთები გასტაცეს. გატაცებული ავტომანქანით მათ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოახდინეს, ავტომანქანა მიატოვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

დაზიანებული ავტომანქანა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს და მის მფლობელსაც მიაკვლიეს. სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ბრალდებულები მომხდარიდან რამდენიმე საათში მცხეთაში დააკავეს. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულები, მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ძიმითში, ტაქსის მძღოლს ყაჩაღურად თავს დაესხნენ, ცივი იარაღის მუქარით წაართვეს ფული, ოქროს ბეჭედი, მობილური ტელეფონი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ბრალდებულები ჩადენილ დანაშაულებს აღიარებენ. სამართალდამცველებმა ორივე ყაჩაღობის შედეგად გატაცებული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება სსსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

2013, 22 ოქტომბერი, №250

# გოგი თოდაძემ „ჯინსების თაობა“ დადგა

ეკა ირემაშვილი

**თეატრალურმა სტუდიამ „ბერიკები" და მისმა ხელმძღვანელმა გოგი თოდაძემ დათო ტურაშვილის გახმაურებული ნაწარმოები „ჯინსების თაობა" სცენაზე გადაიტანა. თავისუფალი თეატრის წარმოდგენისგან განსხვავებით, გოგი თოდაძემ და მისმა მსახიობებმა სპექტაკლში დათო ტურაშვილის ტექსტი ორიგინალთან მაქსიმალურად ახლოს გაითამაშეს.**

როგორც გოგი თოდაძე ამბობს, სპექტაკლში ყველაფერი ისეა, როგორც ნაწარმოებში თავად მწერალს უწერია. „ჯინსების თაობა“ რეჟისორმა უფროსი თაობის ბერიკელებთან დადგა და ამ უქმეებზე დიდ სცენაზე – ხორავას სახელობის სახლის დიდ სცენაზე გადაიტანა.

**გოგი თოდაძე:**

– დიდ სცენაზე ეს სპექტაკლი პირველად ვითამაშეთ. ამჯერად არჩევანი ხორავას სახელობის ერთი მსახიობის სახლის დიდ სცენაზე შევაჩერეთ. მანამდე ამ სპექტაკლს ჩვენი სტუდიის სცენაზე ვთამაშობდით. ეს ის შემთხვევაა, როცა არა ინსცენირების სახით გავაკეთეთ ყველაფერი, არამედ ზუსტად ისე, როგორც დათო ტურაშვილს უწერია. ვეცადეთ, რაც შეიძლება მაქსიმალურად ზუსტად ვყოფილიყავით მიახლოებული ტექსტთან.

***– რატომ აირჩიეთ დასადგმელად „ჯინსების თაობა“?***

– იმის გამო, რომ პოპულარული ნაწარმოებია და „თავისუფალ თეატრში“ დიდი ხანია ამ პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი გადის, ბავშვებს ძალიან დიდი ინტერესი ჰქონდათ, რომ ეს სპექტაკლი დაგვედგა. თანაც სპექტაკლში მონაწილეობს თითქმის ის თაობა, ასაკობრივად ოდნავ ნაკლები, რამხელებიც ის ბიჭები და გოგონები იყვნენ, როცა ეს ამბავი მოხდა. მათ ძალიან აინტერესებდათ ამ ნაწარმოებზე მუშაობა. თანაც საკმაოდ ნიჭიერი ჯგუფია, მათგან 6 ბავშვი წელს მოეწყო თეატრალურში. გარდა იმისა, რომ თეატრალურში უკვე სწავლობენ, პარალელურად, ხანდახან ვეპატიჟებით და თამაშობენ სპექტაკლს.

***– როგორ მიიღო მაყურებელმა თქვენი „ჯინსების თაობა“?***

– მაყურებელს ძალიან მოსწონს. ბევრი ამბობს, რომ მათთვის კიდევ უფრო გასაგები გახდა ის პრობლემა, რომელიც დასმულია ამ ნაწარმოებში. ჩვენ ვეცადეთ, რაც შეიძლება უფრო გასაგები ყოფილიყო, ეს ჩვენი ინტერპრეტაციაა, სინამდვილესთან, რა თქმა უნდა, ბოლომდე ვერავინ მივა. არსებობს ორი აზრი – ისინი იყვნენ კარგი ახალგაზრდები, რომლებსაც უნდოდათ ამ მძიმე სამყაროდან გასვლა, ან ისინი იყვნენ დამნაშავეები და ტერორისტები. ეს საკმაოდ რთული თემაა, ამიტომ ეს საკითხები ჩვენს სპექტაკლში დასმულია. ჩვენი პოზიცია მაინც ახალგაზრდების მხარესაა, ალბათ შეიძლებოდა, რომ ისინი არ დაეხვრიტათ, სხვა განაჩენი გამოეტანათ, თორემ თვითონ დანაშაული რომ მოხდა და ამაზე პასუხი რომ უნდა ეგოთ, არავინ დავობს. ჩვენი სპექტაკლი საკმაოდ დადებითი კუთხით არის გაკეთებული, ემოციური წარმოდგენაა და მაყურებელსაც ძალიან მოსწონს. სულ მეოთხედ თუ მეხუთედ ვითამაშეთ „ჯინსების თაობა“. ჩვენ ჩავიტანეთ ეს სპექტაკლი ოზურგეთში, სადაც ტარდებოდა თეატრალური ფესტივალი. არსებობს არაჩვეულებრივი ქალბატონი მარინა თოფურია, რომელიც ძალიან მოწინავე თანამედროვე აზროვნების ქალია და ყოველთვის აწყობს საინტერესო ღონისძიებებს. უამრავი ხალხი მოვიდა და აცრემლებულები წავიდნენ.



***– დათო ტურაშვილმა თუ ნახა თქვენი სპექტაკლი?***

– კი, დათოსაც ვაჩვენეთ ჩვენი სპექტაკლი და ძალიან მოეწონა. იმდენი კომპლიმენტი გვითხრა, დათოსგან ნამდვილად გასაკვირი იყო. შეიძლება იმიტომ, რომ მის ნაწარმოებთან ძალიან ახლოს არის ჩვენი წარმოდგენა, ჩვენ პრინციპში არც არაფერი შეგვიცვლია.

***– თქვენს სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს ნანახი აქვთ „თავისუფალი თეატრის“ „ჯინსების თაობა“?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ არანაირი გავლენა, არანაირი მსგავსება და არანაირი მიბაძვა არ იგრძნობა მათ თამაშში. ჩვენი სპექტაკლის ფორმაც სხვანაირია, ამიტომ ვერანაირად ვერ მიბაძავდნენ. „თავისუფალ თეატრში“ პროფესიონალი მსახიობები თამაშობენ, ჩვენთან – დამწყები მსახიობები. ჩემდა სასიხარულოდ, ჩვენმა ბავშვებმა საკმაოდ კარგად გაართვეს თავი ამ სპექტაკლში თამაშს. თანაც გვანან კიდეც თავის პერსონაჟებს და ესეც ერთგვარი წარმატებაა. მხატვრულად ისეთი ხერხი მოვძებნე, სულ სხვანაირი სპექტაკლი გამოვიდა. დეკორაციაც ჩემია და მოვიფიქრე თვითმფრინავის ფორმის დეკორაცია, რომელსაც აქვს ორი მხარე, ერთ მხარეს არის ის ოცნება, რაზეც მაშინ ოცნებობდნენ და მეორე მხარე არის თეთრი წითელი ლაქებით, ორივე მხარე კი ქმნის თვითმფრინავს, რომელიც ხან სისხლიანი ადგილია და ხანაც საოცნებო ადგილი.

***– მხოლოდ ერთხელ ითამაშეთ ეს სპექტაკლი დიდ სცენაზე?***

– დიახ, მხოლოდ ერთხელ ვითამაშეთ დიდ სცენაზე. ჩვენს სტუდიაში იმდენი სპექტაკლი იდგმება, რომ მაშინ დიდი თეატრის სცენა ყოველთვის დაგვჭირდება. ჩვენი სტუდია აჩვენებს უშუალოდ შედეგს – ამჯერად წარმოვადგინეთ ჩვენი მუშაობის შედეგი „ჯინსების თაობა“, სულ ეს იყო. ჩვენთან მთავარი სასწავლო პროცესი და გარკვეულ შედეგამდე მისვლაა.

***– თვითმფრინავის ბიჭების მშობლები, ახლობლები, ოჯახის წევრები თუ იყვნენ თქვენს სპექტაკლზე?***

– არა. არც გეგა კობახიძის დედა ქალბატონი ნათელა მაჭავარიანი არ მყოლია სპექტაკლზე და ეს ჩემი ბრალია. ერთხელ სადღაც შევხვდით ერთმანეთს და მისაყვედურა, ამბობენ, ძალიან კარგი სპექტაკლია და რატომ არ მაჩვენეო. ქალბატონი ნათელაც მსახიობია და მას უკეთ ესმის სცენაზე მყოფი ადამიანების. ალბათ სპეციალურად მათთვის ერთხელ კიდევ ვითამაშებთ. ძალიან მინდა სპექტაკლის შემდეგ მასთან საუბარი, რომ განვიხილოთ ეს თემა, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ მტკივნეული და მნიშვნელოვანია.

***– სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან რაზე მუშაობთ?***

– პირველი სამი-ოთხი წელი პატარებთან პროგრამას ვითვისებთ. ჩვენ ბავშვებს 6 წლიდან ვიღებთ და ისინი თავიდან თუკი შეისწავლიან ქართულ ხალხურ ცეკვას, თანამედროვე ცეკვას, ვოკალს, იქ შედის მხოლოდ მსახიობის ოსტატობის ელემენტები, რადგან ისინი პატარები არიან და რთულ დავალებებს თავს ვერ გაართმევენ. 3-4 წლის შემდეგ მზად არიან, რომ პირველი მოსინჯვები იყოს მსახიობის ოსტატობაში, ამიტომ შედარებით იოლ ნაწარმოებებს ვირჩევთ ხოლმე. შარშან ბავშვებმა გააკეთეს ახალგაზრდა რეჟისორთან ერთად „ბურატინოს თავგადასავალი“. ძირითადად წლის ბოლოს გვაქვს სპექტაკლები, ეს ერთგვარი ანგარიშია მშობლების წინაშე. ჩვენმა პედაგოგმა-რეჟისორმა თამარ ხიზანიშვილმა განახორციელა გოგლა ლეონიძის შემოქმედების მიხედვით სპექტაკლი „ნატვრის ხე“. მეტყველების პედაგოგებმა გააკეთეს სანახაობრივი სამეტყველო წარმოდგენები, რომლებშიც ოსტატობის ელემენტებიც იყო შესული, ამჯერად არჩევანი აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე შეაჩერეს. ეს პროცესები ჩვენთან სულ მუდმივად მიმდინარეობს. სულ ვშრომობთ, რომ გარკვეულ შედეგამდე მივიდეთ, ამას დრო სჭირდება, მშობლებს კი ეჩქარებათ, მაგრამ ყოველგვარი აჩქარების წინააღმდეგი ვართ. სჯობს ჯერ ისწავლონ ბავშვებმა და მერე აჩვენონ შედეგი. ჩვენ გვაქვს ხოლმე ღია ჩვენებები და მშობლები ხედავენ რეალურად რას ვაკეთებთ. ჩვენს სკოლაში ბევრი ბავშვები დადიან, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძვირი ღირს რეკლამა და არც გვაქვს იმის საშუალება, რეკლამები გავუშვათ ტელევიზიებით, მაინც ბევრი მსურველი მოდის, თვითონ აქ მოსიარულე ბავშვები და მათი მშობლები გვიკეთებენ არაჩვეულებრივ რეკლამას. ჩვენთან საკმაოდ დაბალი ფასებია სხვა სტუდიებთან შედარებით. თუ სხვაგან 100 და 150 ლარი ღირს სტუდიაში სწავლა, ჩვენთან 70 ლარია, თუმცა დაბალი ფასი არ მოქმედებს ხარისხზე. რადგან ქვეყანას უჭირს, გვირჩევნია ბევრი ბავშვი მოვიდეს და მათ ვასწავლოთ. ჩვენმა სტუდიამ არაერთი ცნობილი მსახიობი გამოზარდა. წელს თემურ ჩხეიძემ აიყვანა ჯგუფი და ბევრი ბერიკელი მასთან მოხვდა. არ არსებობს თეატრალურში ჯგუფი, სადაც ბერიკელები არ არიან, მერე თეატრებში მიდიან ჩვენი ბავშვები სამუშაოდ და მოკლედ, ყველგან ჩვენ ვართ.

***– თქვენ მხოლოდ სტუდიით ხართ დაკავებული თუ სახელმწიფო თეატრებშიც დგამთ სპექტაკლებს?***

– შარშან რუსთაველის თეატრში დავდგი ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“, მინდა სხვაგანაც მუშაობა, მაგრამ ბევრ დროს მართმევს თეატრალური უნივერსიტეტი, მეორე კურსი მყავს და კარგი ბავშვები არიან, წინა ჯგუფიც საკმაოდ საინტერესო იყო, მათთან ერთად დავდგი „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“ და ახლაც გადის თავისუფალ თეატრში, სულ ანშლაგით მიდის მათი სპექტაკლები. უნივერსიტეტი ხომ მართმევს დიდ დროს, მაგრამ ამავე დროს ვარ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელი. როცა შემოთავაზებები მაქვს, უარს არ ვამბობ, მაგრამ ეს ხშირად არ ხდება, წელიწადში მაქსიმუმ ერთხელ ან ორჯერ შემიძლია სხვა თეატრში სპექტაკლი დავდგა, იმიტომ რომ საკმაოდ გადატვირთული ვარ. წელსაც ალბათ თავისუფალ თეატრში ვიმუშავებ, მეპატიჟებიან, სხვა თეატრებიც მიწვევენ და ალბათ ჩამოვყალიბდები. მთავარია, რომ მიყვარს ის საქმე, რასაც ვაკეთებ.

***– გასტროლები არ აქვთ ბერიკებს?***

– მიწვევები ბევრი გვაქვს, მაგრამ ფინანსურად არ არის სახარბიელო მდგომარეობა, ამიტომ გასტროლებზე ვერ მივდივართ. ძალიან ძვირი ჯდება გზა, არადა, ფესტივალის ორგანიზატორები მხოლოდ იქამდე ჩასვლას გვთხოვენ და იმასაც ვერ ვახერხებთ. ის კი არადა, ამ პატარა გადასახადის გადახდაც კი უჭირთ მშობლებს. არ აქვს ხალხს საშუალება და მათი კარგად მესმის.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: LBRTGE22**
**ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)**



## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# არმიამ საქმე გაირთულა

**არმია – აია 18:24**

**არმია:** კობახიძე, ტუჩაშვილი, ჯიმშელაძე, ი.ჩხიკვაძე, გაგოშვილი, ბაირამაშვილი, ღვინჯილია (ჯინაშვილი 53); კაკოვინი (ზაქაშვილი 41), მეკოკიშვილი (დარასელია 54), დონაძე (ქორიძე 62), ცხადაძე (სურგულაძე 46), ჩიტიძე, თხილაიშვილი, თავართქილაძე (კალმახელიძე 16), ბიწაძე

**2 ლელო:** ჯიმშელაძე, დარასელია

**1 გარდასახვა:** კობახიძე

**2 ჯარიმა:** კობახიძე

**აია:** ძნელაძე, შაშიაშვილი, ფრუიძე, კვერნაძე, აბრამიძე, სინაურიძე (ბაბუნაშვილი 79), როხვაძე; რატიაშვილი, მატკავა (სალდაძე 80), ულუმბელაშვილი (ტ.ჩხიკვაძე 41), ძაგნიძე (ცირეკიძე 55), ჩიტეიშვილი, რევიშვილი, შალამბერიძე, ყურაშვილი

**2 ლელო:** როხვაძე, შაშიაშვილი

**1 გარდასახვა:** სინაურიძე

**4 ჯარიმა:** სინაურიძე

შეხვედრის დებიუტი ქუთაისელების იყო, რომლებმაც მეტოქე თავის ნახევარზე გამოკეტეს, მე-7 წუთზე არმიელთა დაცვა ჩავარდა და ბურთი ჩათვლის მოედანში გიორგი როხვაძემ შეიტანა, ხოლო გაგა სინაურიძემ გარდასახვა გამოიყენა.

„არმიამ" მალევე მიიღო ჯარიმის შესრულების უფლება, მაგრამ კარში არ დაარტყა და ლელოზე ითამაშა. სტუმრები ისევ დაჯარიმდნენ, თბილისელებმა ბურთი სწრაფად გაითამაშეს და მეორე მიძალების შემდეგ გიორგი ჯიმშელაძე ბურთი ჩათვლის მოედანში გადადო. კობახიძემ გარდასახვა ვერ გამოიყენა, თუმცა შანსი ჰქონდა, ორიოდე წუთში გუნდი წინაც გაეყვანა, მაგრამ ისევ გაითამაშეს ჯარიმა, რასაც რიონისპირელებმა სწრაფი კონტრშეტევა მოაყოლეს და „არმია" თავად დაჯარიმდა – სინაურიძემ ზუსტად დაარტყა. ორიოდე წუთში „არმია" უკვე შერკინებაში დაჯარიმდა და იმავე სინაურიძემ ქუთაისელთა უპირატესობა 8 ქულამდე გაზარდა.

29-ე წუთზე 5-მეტრიან შერკინებაში უკვე „აია" დაჯარიმდა და კობახიძემ ახლოდან ჯარიმა გაიტანა, მაგრამ მალევე საშუალო მანძილიდან დარტყმული გაუცუდდა. სამაგიეროდ, სინაურიძემ შესვენებამდე ორჯერ მიიღო შანსი, ორივე დარტყმა გამოიყენა, აქედან ერთი ზედ ცენტრალური ხაზიდან და „აიამ" ტაიმი 19:8 მოიგო.

მეორე ტაიმში ქარი უკვე „არმიას" სასარგებლოდ უბერავდა, 45-ე წუთზე კობახიძემ 38 მეტრიდან ჯარიმა კარში დაარტყა ჩამორჩენა შეამცირა. მალე თბილისელებს ლელო უნდა გაეტანათ და ეს რომ მოეხერხებინათ, კაცმა არ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა. სინაურიძე საკუთარი 22-დან ბურთის ფეხით მოგერიებას ცდილობდა, მაგრამ დაუფარეს, ბურთი გიორგი თხილაიშვილმა აიტაცა და უკვე ჩათვლის მოედანში შესულმა ლელოს გატანა ძელებს უკან გადაწყვიტა, მაგრამ სინაურიძემ საკუთარი შეცდომა გამოასწორა, თხილაიშვილს ხელი ჰკრა და, სანამ ის ბურთს დაამიწებდა, ფეხი პირით ხაზს იქით გადაადგმევინა.

55-ე წუთზე ქუთაისელებმა ბიწაძის შეცდომით ისარგებლეს და შაშიაშვილმა ბურთი ალამთან დაამიწა. გარდასახვა არაზუსტი იყო და „აია" 24:11 დაწინაურდა.

თბილისელებს ორი გარდასახული ლელო ჭირდებოდათ. დასკვნით 10 წუთში ქუთაისელები საკუთარ 22-ში დაახლოებით 7-8-ჯერ დაჯარიმდნენ და ორჯერ უმცირესობაშიც დარჩნენ, მაგრამ თბილისელებმა მეტობით ვერ ისარგებლეს. ერთი ლელო ლევან დარასელიამ ბოლო წამს გაიტანა, კობახიძემ გარდასახვაც გამოიყენა, მაგრამ დრო უკვე აღარ იყო და „არმია" მხოლოდ პრემიალურ ქულას დასჯერდა.

**ხარები – ლოკომოტივი 15:31**

**ყოჩები – ბათუმი 59:27**

**აკადემია – ჯიქები 3:33**

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 7 | 6 | 0 | 1 | 159-80 | 28 |
| 2.ლელო | 6 | 5 | 0 | 1 | 159-80 | 23 |
| 3.ლოკომოტივი | 7 | 5 | 0 | 2 | 151-114 | 23 |
| 4.ყოჩები | 7 | 4 | 1 | 2 | 183-153 | 20 |
| 5.არმაზი | 6 | 4 | 0 | 2 | 135-117 | 18 |
| 6.ჯიქები | 7 | 2 | 2 | 3 | 137-119 | 15 |
| 7.არმია | 6 | 2 | 1 | 3 | 133-115 | 13 |
| 8.აკადემია | 6 | 1 | 0 | 5 | 56-162 | 5 |
| 9.ბათუმი | 6 | 1 | 0 | 5 | 80-166 | 5 |
| 10.ხარები | 6 | 0 | 0 | 6 | 75-162 | 2 |

# სამი მედალი ხასავიურტიდან

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების წევრები – გიორგი საკანდელიძე (მძიმე) და ბექა ბუჯიაშვილი (55 კგ) დაღესტანში, ქალაქ ხასავიურტში გამართული პრესტიჟული ტურნირის – საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებული გახდა.

საკანდელიძემ გადამწყვეტ შეხვედრაში მასპინძელი – ხასავიურტელი არსანბეკ ალიევი 5:1 დაამარცხა, მანამდე კი ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ასლან ძებისოვს 6:2 მოუგო. რაც შეეხება ბექა ბუჯიაშვილს, მან ფინალამდე მასპინძლები – ჯაბრაილ ვაზირხანოვი და ზელიმხან დაუდოვი ჩამოიცილა, გადამწყვეტ ბრძოლაში კი კიდევ ერთ ადგილობრივ სპორტსმენს შამილ ომაროვს აჯობა.

საქართველოს ნაკრების სხვა წევრებიდან ყველაზე მაღალი შედეგი მეხუთე ადგილზე გასულ სანდრო ამინაშვილს (84 კგ) ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ მძიმეწონოსანმა გიორგი საკანდელიძემ ხასავიურტის ტურნირი ზედიზედ მეორედ მოიგო.

# „დინამომ" მდევრის წაფორხილებით ისარგებლა

**„დინამო" (თბ) – „ჩიხურა" 6:1**

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 ჩისკო (1), 1:1 კვარაცხელია (14სკ), 2:1 ჩისკო (34), 3:1 დვალი (56), 4:1 ჩისკო (60), 5:1 ძარია (61), 6:1 დვალი (76)

**„დინამო":** ლორია, ძარია, ხმალაძე, კვარაცხელია, სეთურიძე, მერებაშვილი (გლიშიჩი 79), ჩისკო, დვალი (ვუო 76), უსტარიცი, კვირკველია, გოგა (ე.გრიგალაშვილი 72)



**„ჩიხურა":** თევდორაძე, ლ.ჭელიძე, ლომაშვილი, დეკანოიძე, კვასხვაძე (დემეტრაშვილი 63), კაშია, ბეჭვაია, დათუნაშვილი (ნადირაძე 66), ოდიკაძე, გაბედავა (ქიმაძე 65), ტატანაშვილი

ანგარიში 24-ე წამზე გაიხსნა – გოლი „დინამოს" ესპანელმა ლეგიონერმა ჩისკო მუნიოსმა გაიტანა. ანგარიშში თანაფარდობა შეხვედრის მეთოთხმეტე წუთზე აღდგა. დინამოელთა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი საკუთარ კარში გივი კვარაცხელიამ ჩაჭრა – 1:1. დინამოელები მატჩის 34-ე წუთზე კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ, „ჩიხურას" კარში გატანილი გოლით ამჯერადაც ჩისკო გამოირჩა – 2:1.

თუ პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მეორე ნახევარში „დინამომ" გაილაღა. დედაქალაქელებმა მეტოქის კარში მომდევნო ბურთი 56-ე წუთზე გაიტანეს – ეს ჯაბა დვალმა მოახერხა. კიდევ 5 წუთში ანგარიშში სხვაობა უკვე სოლიდური იყო. მე-60 წუთზე „ჩიხურას" კარის მიმართულებით დანიშნული საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა ჩისკომ და საკუთარი გუნდის უპირატესობა კიდევ უფრო გაამყარა.. ზუსტად ერთ წუთში „ჩიხურას" კარი ირაკლი ძარიამ თავური დარტყმით დალაშქრა.

მატჩის საბოლოო წერტილი კი დვალმა 75-ე წუთზე დააფიქსირა – 6:1.

**„ტორპედო" – „სიონი" 1:1**

**ქუთაისი.** ცენტრალური

0:1 სამხარაძე (25), 1:1 საბანაძე (40)

**„ტორპედო":** ქვილითაია, სანდოხაძე, ცინცაძე, საბანაძე, კუხიანიძე (ბარაბაძე 87), ფანცულაია, ხიდეშელი, გოროზია (ჯიქია 46), მთივლიშვილი (ფირცხალავა 67), კაპანაძე, უბილავა

**„სიონი":** მერლანი, თოთაძე, აბრამიძე, სვანიძე, გოგობერიშვილი, ფოფხაძე (ბიბილეიშვილი 70), პარუნაშვილი, სამხარაძე (განუგრავა 85), იმედაშვილი, კახელიშვილი, აფციაური (ლობჟანიძე 79)

მატჩის პირველი ტაიმი საშუალო ტემპში და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მართალია, თამაშის სადავეებს მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა სტუმართა მცდელობებს უფრო მეტი ხიფათი მოსდევდა. ანგარიში 25-ე წუთზე „სიონმა" გახსნა, შეტევის მარცხენა ფრთიდან ჩაწოდების შემდეგ ტორპედოელთა საჯარიმოდან ხიდეშელმა მოიგერია თავით ბურთი, რომელიც უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ირაკლი სამხარაძემ დაიმორჩილა და კუთხიდან შორეულ „ცხრიანში" მოათავსა – 0:1.

ჟერარდ სარაგოსას გაწვრთნილებს გააქტიურება მართებდათ და ასეც მოხდა... წონასწორობა მე-40 წუთზე აღდგა, კუხიანიძის მაღალი დიაგონალური პასით ნიკა საბანაძემ თავური დარტყმით მიზანში გაარტყა – 1:1. გუნდების შესვენებაზე გასვლამდე კიდევ ორი საგოლე მომენტი შეიქმნა, ჯერ ხელსაყრელი პოზიციიდან ფანცულაიას მერლანმა არ გაატანინა, საპირისპირო კართან კი ქვილითაიამ იყოჩაღა და კახელიშვილის დარტყმა მოიგერია.

მეორე ტაიმში დაძაბულობამ იმატა და სახიფათო მომენტებიც მოხშირდა. ანგარიშის სათავისოდ შეცვლასთან ახლოს ორივე გუნდი იყო. ბოლნისელთა მიერ განვითარებული მწვავე იერიშებიდან არც ერთი ზუსტი დარტყმით არ დაბოლოვდა, თამაშის ყველაზე რეალური საგოლე მომენტი კი 68-ე წუთზე ფანცულაიას შეექმნა, რომელმაც ცრუ მოძრაობის შემდეგ ახლო მანძილიდან ვერ გადაგზავნა ბურთი კარში.

მატჩის მიწურულს „სიონის" ბოლო შეტევა იყო განსაკუთრებით სახიფათო, როცა „ტორპედოს" საჯარიმოში ერთბაშად 5 ფეხბურთელი გახლდათ 2 მეტოქის წინააღმდეგ, თუმცა ამ შეტევის გაუვნებელყოფა მასპინძლებმა მოახერხეს და საბოლოოდ, ფრე – 1:1.

**„ზესტაფონი" – „ვიტ ჯორჯია" 1:1**

**„ზესტაფონი":** დავით აბაშიძე

1:0 ლომია (16), 1:1 კასრაძე (38)

**ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, რენე ფერეირა (გაგოშიძე 10), კანდელაკი, აჯურუ, შარიქაძე, ს.გურული (ენდელაძე 87), კუტალია, ს.ლომია, ქობალია (სამუშია 63)

**„ვიტ ჯორჯია":** დაუშვილი, მჭედლიშვილი, ადამაძე, კასრაძე, ჯავაშვილი, დავლაშელიძე, წყაროზია (ლიბრაძე 58), კორიფაძე (პავლიაშვილი 85), ჯანელიძე, სიჭინავა (გეთიაშვილი 70), ლობჯანიძე

მატჩი უფრო აქტიურად სტუმრებმა დაიწყეს და მატჩის დებიუტში როინ კვასხვაძის კართან ერთმანეთის მიყოლებით ორი სახიფათო მომენტიც შექმნეს. მასპინძლები გონს მალე მოვიდნენ და მე-16 წუთზე თბილისელთა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს დანიშნული ჯარიმა გოლად აქციეს – სანდრო გურულის ჩაწოდების შემდეგ საბა ლომიამ ბურთი სტუმართა კარში თვით გადაგზავნა. იმის მიუხედავად, რომ გატანილი გოლის შემდეგ იმერლები კვლავაც აქტიურობდნენ, პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში გათანაბრდა – 38-ე წუთზე მიზანს ლაშა კასრაძის ზუსტმა თავურმა მიაღწია.

მატჩის მეორე ნახევარი ზესტაფონელთა კარნახით წარიმართა და გოლის გატანის შესაძლებლობა ჯერ ალექსანდრე გურულს მიეცა, როდესაც ის ახლო მანძილიდან თავით ურტყამდა, შემდეგ გურამ სამუშიას მახვილგონივრული დარტყმა სტუმართა კარის ძელს მოხვდა. კარის აღებასთან ახლოს ლევან შარიქაძე და საბა ლომიაც იყვნენ, თუმცა შეხვედრის ბოლომდე პირველ ტაიმში დაფიქსირებული ანგარიში აღარ შეცვლილა.

„მეტალურგი" – „მერანი" 6:1

რუსთავი. ფოლადი

1:0 კაკუბავა (4), 2:0 გეწაძე (9), 3:0 ფიფია (15), 3:1 ბაბუნაშვილი (25), 4:1 რაზმაძე (28), 5:1 კირკიტაძე (89), 6:1 საჯაია (90)

მეტალურგი: ბედიაშვილი, მახვილაძე, გეწაძე, კაკუბავა (გავაშელიშვილი 59), ორბელაძე, რაზმაძე, სუხიაშვილი, გეწაძე, კირკიტაძე, ფიფია (სიხარულიძე 40), ჩირგაძე (საჯაია 21)

მერანი: შეროზია, გეგჭკორი, ფარულავა, ქარქუზაშვილი, მელიავა, კერძევაძე (გეგია 46), ფონიავა (ბანება 75), ქათამაძე, ციკოლია (ჯღამაია 62), ბაბუნაშვილი, კვანტალიანი

გაძევება: მახვილაძე (16); კიჭი მელიავა (38)

შეხვედრას რუსთაველებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. სატურნირო მდგომარეობის გარდა გასათვალისწინებელი კიდევ ერთი ფაქტორი იყო – მატჩის დღეს რუსთავქალაქობა აღინიშნებოდა.

პირველივე წუთებიდან მასპინძელთა უპირატესობით გამოიკვეთა და მე-4 წუთზე ლევან კაკუბავამ რუსთაველთა დაწინაურება შეძლო, მე-9 წუთზე კი რევაზ გეწაძემ ულამაზესი დარტყმით სხვაობა ორ ბურთამდე გაზარდა. შეხვედრის მე-15 წუთზე გოგი ფიფიამ საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა – 3:0.

სტუმრებმა ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს ბედიაშვილის კარი ბაბუნაშვილმა აიღო. გოლის გაშვებიდან რამდენიმე წუთში „მეტალურგმა" სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა. ამჯერად „მერანის" კარი ლუკა რაზმაძემ აიღო და ტაიმი „მეტალურგის" სასარგებლოდ 4:1 დასრულდა.

მეორე ნახევარში რუსთაველებმა კიდევ ორი ბურთის გატანა მოახერხეს. თავი ჯერ დავით კირკიტაძემ გამოიჩინა, საბოლოო ანგარიში კი დავით საჯაიამ დააფიქსირა.

**დილა – ზუგდიდი 1:1**

1:0 მოდებაძე (33), 1:1 სიხარულია (77)

**დილა:** რევიშვილი, ალადაშვილი, კობახიძე, კვახაძე, თომაშვილი (ვ.ხორგუაშვილი 68), დოლიძე (გორელიშვილი 78), ბოლქვაძე (დიასამიძე 74), მაისურაძე, ფილიევი, მოდებაძე, ქვილითაია

**ზუგდიდი:** მამალაძე, აფაქიძე, მირცხულავა, კანკია, ქვარცხავა, ონიანი, მეგაჰედი (პაჭკორია 61), სიხარულია, გუგუჩია, ეხვაია (რიგვავა 72), ფარჯიკია

**გაძევება:** რომეო კანკია (65)

მატჩის დასაწყისშივე ფარჯიკიას შეეძლო ანგარიშის გახსნა და ზუგდიდელთა წინ გაყვანა, თუმცა მისი დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. აქტიური იყო სტუმართა კაპიტანი ზვიად სიხარულია, რომელიც თავისი გუნდის შეტევებს უფრო სახიფათოს ქმნიდა და რევიშვილსაც უქმნიდა პრობლემებს. მთლიანობაში მატჩს მაინც გორელები აკონტროლებდნენ და დიდ უპირატესობასაც ფლობდნენ.

26-ე წუთზე მოდებაძემ ძალიან კარგი მომენტი ვერ გამოიყენა, როდესაც ახლო მანძილიდან მეკარესთან პირისპირ მყოფმა ბურთი ოდნავ ააცდინა მამალაძის კარს. სამაგიეროდ, ოთხ წუთში მიზანს მაინც მიაღწია და თავური დარტყმის შემდეგ ანგარიში გახსნა – 1:0.

მეორე ტაიმში აბდულა ბასლეჰლომ მოედნიდან კანკია გააძევა და სტუმართა მდგომარეობა თითქოსდა გამოუვალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მასპინძლები კონტრშეტევაზე სიხარულიამ დაიჭირა და – 1:1. არადა, გაძევებიდან ერთ წუთში დანიშნული თერთმეტმეტრიანი მოდებაძეს რომ გამოეყენებინა შეიძლებოდა ყველაფერი გორელთა სასიკეთოდაც დამთავრებულიყო, მართალია, ირაკლიმ შეძლო პენალტის გატანა, მაგრამ მთავარმა არბიტრმა დარტყმა გაამეორებინა და უკვე მეორე მცდელობაზე მამალაძემ შეძლო ბურთის მოგერიება.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ „დილამ" დარჩენილი დრო შეტევაში გაატარა და რამდენიმე მომენტიც ჰქონდა, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერაფერი გაახერხა და თამაში ფრედ 1:1 დასრულდა.

**სპარტაკი – გურია 0:1**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

0:1 ვილი ისიანი (61)

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 9 | 7 | 1 | 1 | 25:8 | 22 |
| 2.ტორპედო | 9 | 5 | 4 | 0 | 14:5 | 19 |
| 3.ჩიხურა | 9 | 5 | 1 | 3 | 19:17 | 16 |
| 4.გურია | 9 | 5 | 0 | 4 | 9:9 | 15 |
| 5.მეტალურგი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:15 | 14 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 9 | 3 | 3 | 3 | 14:12 | 12 |
| 7.დილა | 9 | 3 | 3 | 3 | 11:11 | 12 |
| 8.მერანი | 9 | 4 | 0 | 5 | 12:20 | 12 |
| 9.ზესტაფონი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:8 | 11 |
| 10.სიონი | 9 | 2 | 3 | 4 | 11:14 | 9 |
| 11.ზუგდიდი | 9 | 1 | 3 | 5 | 4:14 | 6 |
| 12.სპარტაკი | 9 | 1 | 0 | 8 | 4:14 | 3 |

**ბომბარდირები:** დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 7 ბურთი; დორინ გოგა (დინამო), ირაკლი მოდებაძე (დილა) – 6-6.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ტოტენჰემი ............... 0:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ლიდსი-ბირმინგემი ........................ 4:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალმერია-რაიო ............................... 0:1
ბეტისი-ელჩე ................................... 1:2
ვალიადოლიდი-სევილია ............... 2:2

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

დეპორტივო-სარაგოსა ................... 1:1
ხაენი-ალკორკონი .......................... 1:0
ეიბარი-მირანდესი .......................... 1:0
მალიორკა-რეალი ბ ....................... 2:0
ხირონა-ხიხონი ............................... 2:1
ლას პალმასი-მურსია ..................... 0:0
ნუმანსია-ერკულესი ....................... 1:1

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ლაციო .......................... 2:1
ვერონა-პარმა ................................. 3:2
ჯენოა-კიევო ................................... 2:1
ლივორნო-სამპდორია .................... 1:2
სასუოლო-ბოლონია ....................... 2:1
ფიორენტინა-იუვენტუსი ................ 4:2
ტორინო-ინტერი ............................. 3:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-შტუტგარტი ................... 3:3
აუგსბურგი-ვოლფსბურგი ............. 1:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-ზ.პაული ........................... 2:4
ინგოლშტადი-ფორტუნა ............... 1:2
კაიზერი-კარლსრუე ....................... 2:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სოშო-მონაკო .................................. 2:2
სტ.ეტიენი-ლორიენი ..................... 3:2
ლიონი-ბორდო ............................... 1:1

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ერაკლესი-ნაიმეგენი ...................... 1:1
გრონინგენი-პსვ ............................. 1:0
ზვოლე-დენ ჰააგი ........................... 6:1
ალკმაარი-კამბური ......................... 3:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ანჟი-სპარტაკი ............................... 0:1
როსტოვი-კრ.სოვეტოვი ................ 1:2
დინამო-ყუბანი ............................... 3:1
ვოლგა-რუბინი ............................... 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ინვერნესი-პარტიკი ........................ 1:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

არაუ-ციურიხი ................................ 5:1
გრასჰოპერსი-ლოზანა .................. 2:0
ლუცერნი-იანგ ბოიზი .................... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-შტურმი ............................ 2:2

**ბელგია. პროლიგა**

სტანდარდი-შარლერუა ................. 2:2
კორტრაიკი-ბრიუგე ....................... 4:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთები-ქონია ......................... 3:3
ტრაბზონი-სივასი .......................... 0:0
ანთალია-აკხისარი ......................... 1:0
ქაისერი-ფენერბახჩე ..................... 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-არისი ................................... 0:1
აპოლონი-პანაითოლიკოსი ........... 1:1
კალონისი-ქსანთი .......................... 1:5
ოფი-ერგოტელისი ......................... 1:1
პანათინაიკოსი-პანთრათიკოსი ..... 1:2

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

სპარტა-დუკლა .............................. 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-პოდბესკიჟიე ................. 4:2
ლეგია-პიასტი ................................ 4:1

*ლეგიადან 2 გოლი ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა*

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზარია-სევასტოპოლი ..................... 3:0
არსენალი-დინამო ......................... 0:2
მეტალურგი(დ)-ტავრია ................. 2:1
მეტალისტი-ჩერნომორეცი ............ 0:0

**დანია. სუპერლიგა**

ვესტშელანი-ესბიერგი .................. 2:1
კოპენჰაგენი-ოლბორგი ................. 3:0
ბრონდბიუ-ვიბორგი ...................... 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-ესტერი ..................... 0:0
ატვიდაბერგი-ჰელსინბორგი ......... 3:0
მალმიო-ბრომაპოიკარნა ............... 2:1
ელფსბორგი-ჰეკენი ....................... 0:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ჰონეფოსი-მიოლდე ....................... 0:1
ულფი-ოდ გრელანდი .................... 2:4
სონგდალი-ვალერენგა .................. 1:2
ჰაუგესუნდი-ლილესტრიომი ........ 3:2
ალესუნდი-სტრომგოდსეტი .......... 0:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვპს-იარო ........................................ 3:0
კუუპიო-ინტერი ............................. 1:2

*ინტერელთა პირველი გოლი ირაკლი სირბილაძემ გაიტანა*

როვანიემი-მიუპა ........................... 0:1
ტპს-მარიეჰამნი ............................. 3:3
ჰონკა-ლახტი ................................. 4:2
ჯჯკ-ჰიკი ....................................... 0:5

**აშშ. მლს**

ჰიუსტონი-ნიუ იორკი .................... 0:3
ლოს ანჯელესი-სან ხოსე .............. 0:0

**ბრაზილია. სერია ა**

ატლეტიკო(მ)-ფლამენგო .............. 1:0
ბაია-სან პაულუ ............................. 0:1
გოიასი-ატლეტიკო(პ) .................... 3:0
ინტერნასიონალი-გრემიო ............ 2:2
ბოტაფოგო-ვასკუ .......................... 2:2
კურიტიბა-კრუზეირო .................... 2:1
პორტუგეზა-ვიტორია .................... 1:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

როსარიო-ოლდ ბოიზი .................. 2:1
ტიგრე-სარანდი ............................. 2:1
ხიმნასია-ოლიმპო .......................... 2:2
რივერ პლეიტი-ბელგრანო ............ 0:0
გოდოი-ბოკა .................................. 2:2

# დიმიტრი კრიმოვი „ოპუსი №7“-ს წარმოადგენს

ეკა ირემაშვილი

ცნობილი რუსი რეჟისორი დიმიტრი კრიმოვი ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქარი“ ფარგლებში წარმოადგენს სპექტაკლს „ოპუსი №7“. წელს ეს რეჟისორი ფესტივალზე ოთხი სპექტაკლით არის ჩამოსული. ორი მათგანი „კატია, სონია, პოლია, გალია, ვერა, ოლია, ტანია...“ და „ჟირაფის სიკვდილი“ თუმანიშვილის თეატრში უკვე გათამაშდა. სპექტაკლებს წარმოადგენს თეატრი „დრამატული ხელოვნების სკოლა“ მეიერხოლდის ცენტრთან ერთად და ეს არის დიმიტრი კრიმოვის ლაბორატორიის სპექტაკლები. „კატია, სონია, პოლია, გალია, ვერა, ოლია, ტანია...“-ს იდეა, კომპოზიცია და რეჟისურა დიმიტრი კრიმოვს ეკუთვნის, მხატვარი მარია ტრეგუბოვაა, მხატვრული განათება დამირ ისმაგილოვის, ქორეოგრაფია ანატოლი ვოინოვის, მხატვარობა და გრიმი ტატიანა შმიკოვას, ვიდეო ალექსანდრე შაპოშნიკოვს, ფოკუსები რაფაელ წითალაშვილს. სპექტაკლში დაკავებული არიან ანა სინიაკოვა, ნატალია გორჩაკოვა, მარია სმოლნიკოვა, , ვარვარა ნაზაროვა, ვალერი გარკალინი, მაკსიმ მამინოვი, მიხეილ უმანეცი, სერგეი მელკონიანი, ალექსანდრე კაბანცოვი (აკორდეონი), არკადი კირიჩენკო, ვადიმ დუბროვინი.

— ეს ახალი სპექტაკლი რეჟისორმა დიმიტრი კრიმოვმა ბუნინის მოთხრობების ციკლის, „ბნელი ხეივნების“ მიხედვით დადგა, უფრო სწორად კი, იგი მიმართავს ტრაგიკულ, შავბნელ, სამარცხვინო და შეიძლება ითქვას, სასტიკ, მაგრამ ამავე დროს, სევდისმომგვრელ და ტკბილ მოგონებათა მონაცვლეობას. ბუნინის მიერ ხანდაზმულობის ასაკში, სამშობლოდან მოშორებით დაწერილი ეს კრებული, გაფრენილი სიყვარულის დამათრობელი სევდით არის გაჟღენთილი. ეს ნაწარმოები პოეზიის კანონებზეა აგებული და სპექტაკლსაც იგივე განწყობილება გასდევს, მაგრამ ამავდროულად, დიმიტრი კრიმოვი გვთავაზობს თავის სალ, ყოველგვარი ცრუ სენტიმენტალობისგან თავისუფალ აზრს ამ ქრესტომატიული ნაწარმოების შესახებ. სცენაზე შვიდი მამაკაცი დგას, რომლებიც მუნჯი კინოს ვარსკვლავებს გვანან — პაპიროსები, პიჯაკები და ფრაკები, ნოსტალგიური დეკადანსი ვალსის ჰანგების ქვეშ, — და მგზნებარე ქალბატონები, რომლებიც კარდონის ყუთებში დასახიჩრებული თოჯინებივით არიან მიყუჩებულნი. სპექტაკლის მთავარი გმირი, როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისის გამრავლებული ფოტოსურათი, ბუნინის პერსონაჟის კრებითი სახეა, რომელიც ქალისადმი გიჟური და დამღუპველი ვნებით არის შეპყრობილი და თითოეული ქალი, ვისაც ის ხვდება, ამ ვნებას ეწირება, — ამბობს ფესტივალის ხელმძღვანელი ქეთი დოლიძე.

სპექტაკლის რეჟისორის დიმიტრი კრიმოვის თქმით:

— ბუნინთან „ბნელი ხეივნების“ ყველა მოთხრობა ცუდად მთავრდება, ბედნიერი დასასრული არცერთ მათგანს არა აქვს. ეს მოთხრობები შემაძრწუნებელია თავიანთი სინამდვილით ან გამოგონილობით — ეს უკვე ჩვენს აღქმაზეა დამოკიდებული. მე მას არც ვეთანხმები და არც უარვყოფ. თავისი ფილოსოფიური სასოწარკვეთილებით ის უბრალოდ შოკისმომგვრელია. ფილოსოფოსი, ხელოვანი კი ის ადამიანია, რომელმაც იცის საიდან იწყება ყველაფერი და რით მთავრდება. „ბნელი ხეივნები“ სწორედ ასეთ ტკბილ-მწარე მოგონებებს ასახავს.

სპექტაკლი „ჟირაფის სიკვდილი“ ფესტივალზე დიმიტრი კრიმოვის ლაბორატორიამ წარმოადგინა. ეს არის კოლექტიური ნამუშევარი, რომლის რეჟისორიც დიმიტრი კრიმოვია, მხატვარი ვერა მარტინოვა, ანიმაცია ფილიპ ვინოგრადოვს და ვერა მარტინოვას ეკუთვნით, ვიდეო ალექსანდრე შაპოშნიკოვს, თოჯინები ვალენტინა ოსტანკოვიჩს, კოსტიუმების მხატვარი ირინა ბაკულინა, სვეტლანა ზაბავნიკოვა, იულია მაკაროვა არიან, ტექსტის ავტორები და სპექტაკლში მონაწილე მსახიობები კი ინა სუხარეცკაია, ირინა დენისოვა, ნატალია გორჩაკოვა, მარია სმოლნიკოვა, მიხეილ უმანეცი, სერგეი მელკონიანი, არკადი კირიჩენკო და ალექს ჩერვენკო.

— „ჟირაფის სიკვდილი“ დიმიტრი კრიმოვის ადრინდელი სპექტაკლების „დონ კიხოტი“, „სამი და“, „კატერინას სიზმარი“ ტრადიციებს აგრძელებს და ისინი სპეციალურად არის შექმნილი პატარა, ინტიმურ სივრცეში სათამაშოდ. ეს არის სპონტანური, უცნაური და ყოველთვის მხიარული სპექტაკლები მაშინაც კი, როდესაც სიკვდილის თემას ეხება. „ჟირაფის სიკვდილი“ წარმოადგენს დიმიტრი კრიმოვის და სპექტაკლში მონაწილე მსახიობების მიერ შეთხზულ ამბებზე აგებულ სცენების კოლაჟს, რომლებიც იმ ოჯახისა და მეგობრების წრის გარშემო ტრიალებს, ოჯახის უფროსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რომ შეყრილან ერთად. ამ შემთხვევაში გარდაცვლილი ცირკში მომუშავე ჟირაფი აღმოჩნდება. იმ ამბებს, რასაც მისი ნათესავები იხსენებენ მისი ცხოვრებიდან, მხიარულობიდან აბსურდში გადავყავართ, მაგრამ ის ისტორიები, რომლებიც რეპეტიციების დროს დაიწერა მსახიობების მიერ, არ წარმოადგენს ამ სპექტაკლის არსს. თითოეული ეპიზოდი სცე-



ნის გასწვრივ გადაჭიმული ეკრანის ფონზე მიმდინარეობს, რომელზეც განსაცვიფრებელი სილუეტები და ფანტაზიის კინემატოგრაფიული გადაფრენები აისახება. ცაში მონავარდე ფლამინგოები, კოსმოსისა და მსოფლიო ქალაქების საჰაერო ხედები... ამ ყველაფერს ჟირაფის ფრაგმენტული ისტორია სპექტაკლის გმირების მიერ მონათხრობი კონკრეტული ისტორიების საზღვრებს მიღმა გაჰყავს. გარკვეულ მომენტში ჩვენ გავდივართ კონკრეტული პიროვნების ცხოვრების ამბიდან ფილოსოფიური განჭვრეტის სფეროში, სადაც ცხოვრებისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის გამოცდილებას ვიძენთ, — ამბობს ქეთი დოლიძე.

ამჯერად ფესტივალის ერთგული მაყურებელი 23 და 24 ოქტომბერს უკვე მის მესამე სპექტაკლს „ოპუსი №7“ რუსთაველის თეატრში იხილავს. ეს არის სპექტაკლი ორ ნაწილად, იდეა, კომპოზიცია და რეჟისურა დიმიტრი კრიმოვს ეკუთვნის. პირველი ნაწილია გენეალოგია, ტექსტის ავტორი ლევ რუბინშტეინი, კომპოზიტორი ალექსანდრე ბაკში, მხატვარი ვერა მარტინოვა, თოჯინები ვიქტორ პლატონოვის. სპექტაკლში მონაწილეობენ ანა სინიაკინა, მაქსიმ მამინოვი, მიხეილ უმანეცი, მარია გულიკი, ნატალია გორჩაკოვა, არკადი კირიჩენკო, ვარვარა ვოეცკოვა. სპექტაკლის მეორე ნაწილია შოსტაკოვიჩი, სადაც გამოყენებულია დიმიტრი შოსტაკოვიჩის მუსიკა, მხატვარია მარია ტრეგუბოვა. სპექტაკლის მეორე ნაწილში მონაწილეობენ ანა სინიაკინა, მაქსიმ მამინოვი, მეხეილ უმანეცი, სერგეი მელკონიანი, მარია გულიკი, ნატალია გორჩაკოვა და ვარვარა ვოეცკოვა.

— „ოპუსი №7“ მოგვითხრობს ამბავს, რომლის მოყოლაც მხოლოდ თეატრს შეუძლია. ის ისტორიას პირდაპირ სცენის ფიცარნაგზე წერს. სპექტაკლის პირველი ნაწილი „გენეალოგია“ აღმოსავლეთ ევროპელი ებრაელების ულმობელ განადგურებას გვიხატავს. მეორე ნაწილი „შოსტაკოვიჩი“, ხელოვანის გადარჩენასა და თავის შველაზე მოგვითხრობს. გროტესკული, უცნაური და ტრაგიკული „ოპუსი №7“ იკვლევს დიდი კომპოზიტორის ცხოვრებასა და შემოქმედებას და მის სულს მრავალჯერადად გამეორებულ ერთ მუსიკალურ ფრაზაში პოულობს. „ოპუსი №7“, რომელიც სტალინის რეჟიმის დროს საბჭოთა ებრაელების და ხელოვანების დევნას გვიხატავს ერთდროულად მგრძნობიარეც არის და დახვეწილიც, კომიკურიც და ავბედითიც, — განმარტავს ფესტივალის ხელმძღვანელი.

სპექტაკლის რეჟისორის დიმიტრი კრიმოვის თქმით კი:

— პირველი ნაწილი ბევრ უბედურ ადამიანზე მოგვითხრობს, მეორე კი ერთ ძალიან უბედურ კაცზე, რომელიც ამავე დროს გენიოსია.

როგორც ფესტივალის მესვეურები ამბობენ:

— დიმიტრი კრიმოვი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია თავისი ინოვაციური და გამომგონებლური ნიჭით, უმარტივესი მასალისგან საოპერო სცენის პროპორციების ფანტასტიურ სპექტაკლებს ქმნის. გიგანტური ზომის თოჯინები, კაკაფონურად მოცეკვავე როიალები, მსახიობებად გარდაქმნილი მუსიკოსები, აკრობატებად ქცეული მსახიობები და კედელი, რომელიც გამაოგნებელ თეატრალურ სამყაროს წარმოქმნის ჩვენს თვალწინ და რომელიც თვალის დახამხამებაში იცვლება. ვერასოდეს მიხვდები რა შეიძლება მოხდეს ამა თუ იმ სცენის შემდეგ.

წლევანდელი „საჩუქარი“ დიმიტრი კრიმოვის კიდევ ერთი სპექტაკლით „ონორე დე ბალზაკი. ჩანაწერები ბერდიჩევზე“ დაიხურება, რომელიც ანტონ ჩეხოვის „სამი დის“ მიხედვით არის დადგმული. დიმიტრი კრიმოვის ლაბორატორია ამ სპექტაკლს 26 და 27 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში წარმოადგენს. ეს იქნება მსოფლიო პრემიერა ფესტივალზე „საჩუქარი“. ამ შემთხვევაშიც სპექტაკლის იდეა, კომპოზიცია და რეჟისურა დიმიტრი კრიმოვს ეკუთვნის, მხატვარი ვერა მარტინოვას, მხატვრული განათება ივანე ვინოგრადოვს, საოჯახო კინო და ფოტოქრონიკა ვალენტინა ოსტანკოვიჩს და ილია შაგალოვს, მუსიკალური გაფორმება და სასცენო ხმაური კუზმა ბოდროვს, მხატვარი გრიმიორი ტატიანა შმიკოვაა, ქორეოგრაფი ანატოლი ვოინოვი, ქორმაისტერი არმენ პოღოსიანი. სპექტაკლში მონაწილეობენ მარია სმოლნიკოვა, ქრისტინა პივნევა, ვერონიკა ტიმოფეევა, ვადიმ დუბროვინი, ალექსანდრე ანუროვი, მიხეილ უმანეცი, მაქსიმ მამინოვი, ევგენი სტარცევი, ნატალია გორჩაკოვა, ანა ვორკუევა, არკადი კირიჩენკო, ვადიმ ანდრეევი, ირენა მუსკარა, ბორის ოპლეტაევი, პოლინა პახომოვა, ოლგა პიატიშკინა.

— ეს სპექტაკლი პროზოროვებთან გეპატიჟებათ სტუმრად. მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გლოვა დამთავრდა, ირინას დღეობაა, უკვე შეიძლება ერთად შეკრება, საზამთროს გაჭრა, ჩაის დალევა, ძველი ფოტოსურათების დათვალიერება, მოგონებებში გადავარდნა... დიდი ხნის ნაცნობი „შინაურები“, მაგრამ თითქოს სრულიად სხვა კუთხით დანახული პერსონაჟები შეიკრიბებიან ძველ სახლში, სადაც მხიარულება სუფევს, მაშინ როდესაც ქალაქი ცეცხლის ალშია გახვეული. სპექტაკლი მოზაიკის პრინციპითაა აგებული ჩეხოვის „სამი დის“ ქვეტექსტებზე და დიმიტრი კრიმოვის ლაბორატორიის „მხატვრების ვიზუალური თეატრის“ გამოცდილების საფუძველზე, — აღნიშნავს ქეთი დოლიძე.

— როგორ აგიხსნათ რისი გაკეთება გვინდოდა? დავუშვათ, რომ იღებთ თქვენს საყვარელ, ძველ ხელთათმანს და უკუღმა აბრუნებთ, რის შემდეგაც გაორებული გრძნობა გეუფლებათ: ერთის მხრივ, ხედავთ რაღაც ახალ, უცნაურ და ცოტათი გაუგებარ ნივთს, ხოლო მეორეს მხრივ, თუკი კარგად დააკვირდებით, გახარებული აღმოაჩენთ, რომ ეს თქვენი ხელთათმანია და თან სარჩულში გაჩხერილ კაპიკიანსაც პოულობთ. არადა მთელი ზამთარი ტვინს იჭყლეტდით: „ნეტა აქ რა უნდა მაჭერდეს?“ ასე, რომ თუ ეს „ხელთათმანი“ ანტონ ჩეხოვის პიესაა, ხოლო იგივე პიესა უკუღმა გადმობრუნებული ჩვენი სპექტაკლი „ონორე დე ბალზაკი. ჩანაწერები ბერდიჩევზე“, მაშინ თქვენთვის გასაგები იქნება ჩემი სათქმელი, — ამბობს რეჟისორი დიმიტრი კრიმოვი.

მისივე თქმით:

— სიტყვა „თამაში“ ჩემს შემოქმედებაში, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვაა... თუ ვგრძნობ, რომ ჩემი ნამუშევარი თამაშს ჰგავს, ყველაფერი კარგადაა, თუ არა, ესე იგი, რაღაცა არასწორად გავაკეთე.

# „დურუჯმა“ საუკეთესოები დააჯილდოვა

ეკა ირემაშვილი

თეატრალური პრემია „დურუჯის“ გამარჯვებულები ცნობილია. 2013 წელს პრემია სხვადასხვა ნომინაციებში გაიცა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან ცნობით, საუკეთესოთა ვინაობა ყვარელში, მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში გაცხადდა, სადაც დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა.

თეატრალური პრემია „დურუჯი“ საქველმოქმედო ფონდმა „ცისკარი“ დააწესა და ეს არის პირველი დამოუკიდებელი თეატრალური პრემია, რომელიც წელს უკვე მეხუთედ გაიცა. საბოლოო ფარული კენჭისყრა პრემიის ლაურეატების გამოსავლენად ჟიურის წევრებს შორის დაჯილდოების დღეს, ღონისძიებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩატარდა.

კონკურსზე სულ 34 განაცხადი შევიდა. 5 წევრისგან შემდგარი ჟიური ნომინირებულ სპექტაკლებს 2 თვის განმავლობაში აფასებდა. „დურუჯი 2013“ გაიცა შემდეგი ნომინაციებისთვის: საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი — პრემიის ოდენობა შეადგენდა 14.000 ლარს; საუკეთესო მსახიობი ქალი — პრემიის ოდენობა შეადგენდა 2.000 ლარს; საუკეთესო მსახიობი მამაკაცი — პრემიის ოდენობა შეადგენდა 2.000 ლარს; საუკეთესო თანამედროვე ქართული პიესის ავტორი — პრემიის ოდენობა შეადგენდა 2.000 ლარს; საუკეთესო სცენოგრაფი — პრემიის ოდენობა შეადგენდა 2.000 ლარს; საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორს გადაეცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი 10.000 ლარის ოდენობით მომავალ, 2013-2014 წლების სეზონზე სპექტაკლის დასადგმელად.

თეატრალური პრემია „დურუჯის“ ლაურეატების გამოვლენამდე კანდიდატების „მოკლე ნუსხაც“ გამოცხადდა. ნომინაციაზე „საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი“ წარდგენილნი იყვნენ ლევან წულაძე „როგორც გენებოთ“, უილიამ შექსპირი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; დავით დოიაშვილი

„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი“, უილიამ შექსპირი, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი; გიორგი თავაძე

„კინკასის უცნაური გარდაცვალება“, ჟორჟ ამადუ, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ნომინაციაში „საუკეთესო მსახიობი ქალი“ წარდგენილნი იყვნენ ანა ალექსიშვილი

„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი“ უილიამ შექსპირი, რეჟისორი დავით დოიაშვილი, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი; ანი ალადაშვილი „სათამაშო პისტოლეტი“ თამარ ბართაია, რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი, პროფესიონალთა ჯგუფი; მარინა სოლომონია „კინკასის უცნაური გარდაცვალება“ ჟორჟ ამადუ, რეჟისორი გიორგი თავაძე, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ნომინაციაზე „საუკეთესო მსახიობი მამაკაცი“ წარდგენილნი იყვნენ ჯანო იზორია

„აგნუს დეი“ ალექსანდრე პუშკინის „მოცარტი და სალიერის“ და „ეგვიპტური ღამეების“ მიხედვით, რეჟისორი დავით ჩხარტიშვილი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; არჩილ სოლოღაშვილი „(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი“ უილიამ შექსპირი, რეჟისორი დავით დოიაშვილი, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი; ბაჩო ჩაჩიბაია „კარმენი“ პროსპერ მერიმე, რეჟისორი (დამდგმელი ქორეოგრაფი) კონსტანტინე ფურცელაძე, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი.

ნომინაციაზე „საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესის ავტორი“ წარდგენილნი იყვნენ თამარ ბართაია „სათამაშო პისტოლეტი“, რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი, პროფესიონალთა ჯგუფი; გულნარა წიკლაური „აღსარება“, რეჟისორი დავით მღებრიშვილი, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი; დავით გაბუნია „საპნის ოპუსი“, მიხეილ ჩარკვიანი, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ნომინაციაზე „საუკეთესო სცენოგრაფი“ წარდგენილნი იყვნენ ვახო ბარდაველიძე

„თოვლის დედოფალი“ ჰანს ქრისტიან ანდერსენი, რეჟისორი ცინცინო კობიაშვილი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი; ანკა კალატოზიშვილი

„მაგიის საიდუმლოებანი“ რიუნოსკე აკუტაგავას მოთხრობების მიხედვით, რეჟისორი გიორგი თავაძე, სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი; თამარ ოხიკიანი

„აღსარება“ გულნარა წიკლაური, რეჟისორი დავით მღებრიშვილი, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი.

ნომინაციაზე „საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი“ წარდგენილნი იყვნენ მიხეილ ჩარკვიანი „კატცელმახერი“ რაინერ ვერნერ ფასბინდერი, სამეფო უბნის თეატრი; მიხეილ ჩარკვიანი „საპნის ოპუსი“ დავით გაბუნია, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

— სასიხარულოა, რომ „დურუჯი“ კვლავაც ინარჩუნებს თეატრალურ სფეროში დაწესებული ყველაზე პრესტიჟული კერძო პრემიის სახელს. ეს ჯილდო გახდა ერთგვარი „ხარისხის ნიშანი“, რომლის მიღებაც მეტად საამაყოა ხელოვანთათვის. „დურუჯი“ დაფასებაა, აღიარება იმ შრომის და ენერგიისა, რომელიც არტისტების მიერ სეზონის განმავლობაში განხორციელებული თითოეული ნამუშევრის შექმნაში იყო ჩაქსოვილი, — განაცხადა პრემიის დამფუძნებელმა ლაშა პაპაშვილმა.

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ყველაზე გრძელი მდინარე აფრიკაში; 2. ზაფხულის თვე; 3. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 4. წინსვლა, აღმავლობა; 8. ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 9. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 11. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 14. უბანი თბილისში; 16. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 17. პოპულარული ზამთრის კურორტი პოლონეთში; 19. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 21. სპორტის ოლიმპიური სახეობა.

**თარაზულად:** 5. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 7. გავლენის სფეროს გაფართოება; 10. ბელგიური ავიაკომპანია; 13. გასართობი თავსატეხი; 15. ძველებური წონის ერთეული საქართველოში, უდრიდა ოთხ გრამს; 18. ქართველი კინორეჟისორი; 20. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 22. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 23. მარტვილის ძველი სახელწოდება; 24. ჩქაროსნული გზატკეცილი.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 6. აქანდაზი; 7. პროგრესი; 8. ვირუსი; 9. დომრა; 10. მინერალი; 11. კრენდელი; 15. სემიტოლოგი; 17. მიმოზა; 19. ფანატიზმი; 21. ავიცენა; 22. დითირამბი; 23. დავრიში.

**შვეულად:** 1. აქსიომა; 2. ლიმუზინი; 3. ნოველა; 4. კენია; 5. მიგრანტი; 8. ვარიანტი; 12. ნეკი; 13. კენტავრი; 14. აგრაფი; 16. ვალიუმი; 18. მანია; 20. არია.

### სკანვორდის პასუხები:

1. ნიანგი; 2. გაი; 3. ტემპი; 4. პროზა; 5. სიმონია; 6. მარტინ; 7. ტინი; 8. ლაცორია; 9. დია; 10. დუნაი; 11. მინსკი; 12. მერია; 13. ტრიუმი; 14. ალიმენტი; 15. ცენტნერი; 16. ფანტომი; 17. უტიე; 18. ორპირი; 19. აფრა; 20. რაუნდი; 21. ივნისი; 22. პროტეინი; 23. „ფორტე“; 24. ფარ; 25. მარსი; 26. ლემა; 27. მისის; 28. ლიე; 29. რამბულიე; 30. აბა; 31. კაბა; 32. ილი; 33. ვიკუნია.

**სურათებზე:** მილენ დემონჟო; მაურო სარატე.

# შალვა ნათელაშვილი: „გამორიცხულია, რომ არჩევნები ვერ მოვიგო“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ხოლებზე.

ლეიბორისტული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატმა თავის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო პოლიტიკური სისტემის რეფორმას. შალვა ნათელაშვილის თქმით, ხალხისგან არჩევითი იქნება მუნიციპალიტეტების, ქალაქების, სამხარეო ადმინისტრაციათა ხელმძღვანელები, მოსამართლეები და მაქსიმალურად მეტი თანამდებობის პირი.

— გაუქმდება მაჟორიტარი დეპუტატის ინსტიტუტი, მკვეთრად შემცირდება უმაღლესი ელიტის შესანახი ხარჯები, დეპუტატი დაექვემდებარება ვადამდე გამოწვევას, შეწყდება კოჰაბიტაცია. ყველა თანამდებობის პირი, ჩემი ჩათვლით, პასუხს აგებს ჩადენილ გადაცდომებსა და დანაშაულობებზე. ქვეყანაში გაუქმდება საშვების სისტემა, — აღნიშნა ნათელაშვილმა, რომელიც მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ უნდა იყვნენ სახელმწიფოს მხრიდან პენსიონერები, მარჩენალდაკარგულები და ინვალიდები.

საარჩევნო პროგრამის ფარგლებში ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ისაუბრა ანაბრების დაბრუნების მტკივნეულ თემაზე და გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე იმ სიკეთეების ბოლომდე ათვისებაზე, რომელიც საქართველოს გააჩნია და ხელისუფლების უყურადღებობით ხალხის სასიკეთო სამსახურში არ დგას.

ოპოზიციური პარტიის ლიდერის განცხადებით, მისი ყველა დაპირება რეალისტურია და მისი განხორციელება არ გაუჭირდება.

— ეს რესურსი და თანხები დევს სახელმწიფო ბიუჯეტში. ციდან მოტანილი თანხები არ არის. უფრო გლობალური საკითხების მოგვარება დაკავშირებულია რუსეთის ბაზრის გახსნასთან, — განაცხადა ნათელაშვილმა.

რაც შეეხება იმას, რამდენად აქვს შალვა ნათელაშვილს არჩევნებში გამარჯვების იმედი და რა გზას აირჩევს დამარცხების შემთხვევაში, წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაციის დროს პრეზიდენტობის კანდიდატმა ამ კითხვაზე ასე უპასუხა:

— გამორიცხულია, რომ არჩევნები ვერ მოვიგო. მე მოვიარე საქართველოს 700 სოფელი, ქალაქი და დასახლებული პუნქტი, ვხვდებოდი ხალხს და მათგან აბსოლუტურ მხარდაჭერას ვგრძნობდი. გამორიცხულია, არჩევნებში ვერ გავიმარჯვო, რადგან სხვა კანდიდატებს პულსი არ ესინჯებათ, სუნთქვა არ ეტყობათ. თუ ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს, მაშინ იძულებული გავხდები, ჩემს ამომრჩეველს რუსთაველზე დავუძახო და ივანიშვილს და მის ხელისუფლებას მათი დათვლა სწორედ რუსთაველის გამზირზე მოუწევს, რაც მათთვის, მერწმუნეთ, საკმაოდ არასასიამოვნო პროცესი იქნება, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

პრეზენტაციის ბოლოს ოპოზიციური პარტიის ლიდერმა დარჩენილი ერთი კვირის შეხვედრებიც დააანონსა.

— ჩემს ამომრჩევლებთან შეხვედრები გაგრძელდება. ამ კვირას რეგიონებში არ გავალთ. თბილისში მოვაწყობთ მრავალრიცხოვან შეხვედრებს, ხოლო პარასკევს ვგეგმავთ საერთაშორისო ბრიფინგს, სადაც ქართველ ჟურნალისტებთან ერთად უცხოელი ჟურნალისტებიც იქნებიან მოწვეული, — აღნიშნა პრეზიდენტობის კანდიდატმა ნათელაშვილმა.

# მურმან ჯინორიამ პატიმარი ქალებისთვის ითამაშა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

არის ამავე სპექტაკლით პატიმარი ქალებიც მიაუხლოვოს ქართულ გენეტიკურ მახსოვრობას.

სპექტაკლის ხანგრძლივობა 90 წუთია, ის ოთხი პირობითი ნაწილისგან — წელიწადის დროთაგან შედგება და ყველა მათგანში შესულია ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ყოველი სეზონი ასოცირდება სხვადასხვა ხასიათისა და სტილის ავტორების შემოქმედებასთან. გაზაფხული — ტერენტი გრანელთან, ზაფხული — გურამ რჩეულიშვილთან, შემოდგომა მისთვის ჩვეული სიჭრელით აერთიანებს ტატო ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ტიციან ტაბიძის, ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილისა და ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებას. ზამთარი კი მსახიობისთვის გალაკტიონ ტაბიძესთან ასოცირდება. სპექტაკლი ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით დაიდგა.

ქალთა №5 დაწესებულებაში ამ დროისთვის სასჯელს 265 ქალბატონი იხდის. როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში ამბობენ, მსახიობ მურმან ჯინორიას მოწვევა სწორედ მათი გამოკითხვის საფუძველზე, უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით გადაწყდა. მსგავსი სახის კულტურული აქტივობები მსჯავრდებულებისთვის ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის ეგიდით ხორციელდება.

**ეკა ირემაშვილი**

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე გურამ მგელაძე, შვილები გოგი, კოკა მგელაძეები, დები ნანა, მარინე გამცემლიძეები ოჯახებით, შვილიშვილები სოფო, გურამ, ანა, ნუკა, ნატა, სანდრო, გიორგი, ანასტასია, შვილთაშვილები, რძლები ნუცა ქორელი, ნინი ხაბაზიშვილი, ლიკა ჯოლია, სიძეები უკა კილაძე, დათო ვეფხვაძე, მულიშვილი ვახტანგ სალაძე, მამიდაშვილები გურამ, მერაბ ჯაიანები ოჯახებით, დისწულები, დეიდაშვილები იუწყებიან

**ნინო გიორგის ასულ გამცემლიძე-მგელაძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 22, 23 ოქტომბერს, 17 საათზე, თბილისი, კეკელიძის 25, IV სადარბაზო, X სართული.

გამოსვენება: 24 ოქტომბერს, 14 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს (ველოტრეკის ზემოთ) ნინოწმინდის ეკლესიიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ევროსასამართლო რუსეთს „კატინის საქმეზე“ ევროპის კონვენციის დარღვევაში ადანაშაულებს



ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებით, რუსეთმა ევროპის კონვენცია დაარღვია და სასამართლოს „კატინის საქმის“ დახურვის დადგენილების ასლი არ მიაწოდა. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. ამასთან, სტარსბურგის სასამართლომ უარი თქვა რუსული მხარის მიერ „კატინის საქმის“ გამოძიების ეფექტურობის შეფასებაზე.

სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის განცხადებით, სასამართლო ვერ შეაფასებს რუსული მხარის მიერ წარმოებული გამოძიების ხარისხს, რადგან რუსეთი ევროპის კონვენციას კატინის საქმის გამოძიების დაწყებიდან რვა წლის შემდეგ — 1998 წელს შეუერთდა.

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ მას არ გააჩნია გამოძიების შეფასების კომპეტენცია, რადგან საქმე ეხება 1940 წელს მომხდარ შემთხვევას, როცა არც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო არსებობდა და არც ევროპის კონვენცია.

რუსეთის მხრიდან ევროპის კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი 15 დახვრეტილი პოლონელის ნათესავმა შეიტანა. დახვრეტილი პოლონელების ნათესავები რუსეთს ასევე ადანაშაულებდნენ არაეფექტური გამოძიების ჩატარებაში.

კატინის საქმეზე გამოძიება სტრასბურგის სასამართლოში 1990 წელს დაიწყო, თუმცა, 2004 წელს რუსეთის მთავარი პროკურატურის მოთხოვნით შეწყდა.

2010 წელს რუსეთის პარლამენტმა პოლონელების დახვრეტაში პასუხისმგებლობა იოსებ სტალინს და მის რეჟიმს დააკისრა.

1940 წელს სმოლენსკთან ახლოს მდებარე სოფელ კატინის ტყეში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 20 ათასი პოლონელი სამხედრო პატიმარი დახვრიტა, რომელთა გვამები კატინის ტყეებში დამარხეს.

2010 წლის აპრილში, სმოლენსკში, ჩამოვარდა პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის თვითმფრინავი, რომლის ავარიასაც 90-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის თავად პრეზიდენტი და მისი მეუღლე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1950 წლის ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციით დაფუძნებული საერთაშორისო სასამართლო ორგანოა. იგი განიხილავს კერძო ინდივიდების საჩივრებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ეხება ამ კონვენციით გარანტირებული უფლებების სადავო დარღვევებს. სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება აქვთ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებსაც ერთმანეთის წინააღმდეგ.

# ვოლგოგრადში ავტობუსის აფეთქების შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა

სულ მცირე ხუთი ადამიანი დაიღუპა რუსეთის ქალაქ ვოლგოგრადში ავტობუსის აფეთქების შედეგად. ამის შესახებ რუსული მედია იუწყება.

წინასწარი მონაცემებით, ავტობუსში დამონტაჟებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ავტობუსში 40-მდე ადამიანი იმყოფებოდა, რომელთაგან 20-ზე მეტი ამ დროისთვის საავადმყოფოშია მოთავსებული. ზოგიერთი მათგანი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. დაშავებულები ვერტმფრენით მოსკოვის საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

ამასთან, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენლის, ვლადიმერ მარკინის შეფასებით, მომხდარს უკვე მიენიჭა ტერაქტის კვალიფიკაცია. მისივე თქმით, ასაფეთქებელი მოწყობილობა შაჰიდ ქალს ჰქონდა დამონტაჟებული.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.



ვოლგოგრადში მომხდარი ავტობუსის აფეთქების ადგილზე ჩატარებული გამოძიების შედეგად ნაპოვნია ასაფეთქებელი მოწყობილობის ნარჩენები, — ამის შესახებ რუსეთის ახალი ამბების სააგენტოები ადგილობრივი სამართალდამცველი ორგანოების ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით იუწყებიან. წყაროს თანახმად, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბომბის სიმძლავრისა და ტიპის დადგენა. ინფორმაციას, რომ ავტობუსში ასაფეთქებელმა მოწყობილობამ იმუშავა, — ეროვნულ ანტიტერორისტულ კომიტეტშიც ადასტურებენ.

# მექსიკა ამერიკას სნოუდენის მიწოდებული ინფორმაციის სწრაფად გამოძიებისაკენ მოუწოდებს



მექსიკის ყოფილ პრეზიდენტ ფელიპ კალდერონის ელექტრონული მიმოწერის ამერიკის სპეცსამსახურების „ხელში ჩაგდებას“ მექსიკამ „მიუღებელი და უკანონო“ უწოდა.

გერმანულ გამოცემა „შპიგელში“ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ედვარდ სნოუდენის მიერ გადაცემული დოკუმენტები გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო მექსიკის ყოფილ პრეზიდენტს უთვალთვალდებდა. სნოუდენის ინფორმაციით მიხედვით, კალდერონის ელექტრონული ფოსტა 2010 წელს გატეხეს.

მექსიკის დიპლომატიურმა უწყებამ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ამ ინფორმაციის გამოძიებისაკენ მოუწოდა. ცოტა ხნის წინ კი ბრაზილიის პრეზიდენტის მისამართით ამერიკის სადაზვერვო სამსახურების ჯაშუშური საქმიანობის შესახებაც გახდა ცნობილი. აღნიშნულთან დაკავშირებით ბრაზილიის პრეზიდენტმა დილმა რუსეფმა ამერიკაში დაგეგმილ ვიზიტი გადადო.

ამასთან, ფრანგულმა ყოველდღიურმა გამოცემა „ლე მონდმა“ ოქტომბერს ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის ედვარდ სნოუდენის მიერ მიწოდებული დოკუმენტები გამოაქვეყნა, რისი მიხედვითაც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ 30 დღის განმავლობაში საფრანგეთის მოქალაქეების 70 მილიონი სატელეფონო საუბარი ჩაიწერა.

ამერიკის ეროვნული სააგენტოს საქმიანობა 2012 წლის 10 დეკემბრიდან და 2013 წლის 8 იანვრამდე პერიოდს მოიცავს. ამ პროგრამას იუეს-985დ ეწოდება. ტერორისტების გარდა, ამ პროგრამის საშუალებით ფრანგი ბიზნესმენების, პოლიტიკოსებისა და მთავრობის მაღალჩინოსნების საუბარიც იწერებოდა.

# მოსკოვის მერს დედაქალაქში „საიმიგრაციო რეჟიმის“ შემოღებას სურს



მოსკოვის მერი სერგეი სობიანინი მოსკოვისათვისა და მისი შემოგარენისათვის „განსაკუთრებული საიმიგრაციო რეჟიმის“ შემოღებას შესაძლებლად მიიჩნევს.

„თეორიულად მსგავსი რეჟიმის შემოღება ცუდი არ იქნებოდა“, — განუცხადა ქალაქის მერმა ჟურნალ „კომერსანტს“.

მისი თქმით, მოსკოვში ოფიციალური მონაცემებით, 500-600 ათასი მიგრანტი ცხოვრობს, მის გარეუბნებში კი დაახლოებით ორი მილიონი. მერის განცხადებით, მიგრაციასთან დაკავშირებულ უმთავრეს პრობლემას მიგრანტების ეკონომიკური „სარგებელი“ წარმოდგენს.

ამ ფონზე, პოლიცია პირობას იძლევა, რომ მოსკოვში არ დატოვებს ადგილს, სადაც არალეგალი მიგრანტები თავის შეფარებას შეძლებენ, რადგან „ეს საზოგადოებრივი მოთხოვნაა“

მოსკოვში, შესაძლოა ყოველი საცხოვრებელი ბინა პოლიციამ გადაამოწმოს, ხოლო პარასკევობით ჩატარდება არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ოპერაციები, რასაც ხელისუფლება განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა ბირიულევოს რაიონში მომხდარი გახმაურებული მკვლელობის შემდეგ, — იუწყება სააგენტო ზნ.უა.

შეგახსენებთ, რომ 10 ოქტომბერს, მოკოვი სამხრეთით, ბირიულევოს რაიონში, აზერბაიჯანელმა არალეგალურმა ემიგრანტმა, 25 წლის მოსკოველი იგორ შერბაკოვი მოკლა, რის შემდეგაც მიიმალა. რაიონის მოსახლეობა 13 ოქტომბერს შეიკრიბა მკვლელობის სასწრაფო გამოძიებისა და მიგრაციის პოლიტიკის გამკაცრების მოთხოვნით, რაც არეულობაში გადაიზარდა.

მომდევნო დღეს, მოსკოვის პოლიციამ პროფილაქტიკური რეიდი ჩაატარა, რის შედაგადაც ათასზე მეტი, არასლავური გარეგნობის პირი დააკავეს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# TV პროგრამა

**სამშაბათი 22 ოქტომბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" — მხ/ფ "**ბინგო ბონგო**" (ა.ჩელენტანო) **17.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **19.30** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი (პ/რ) **00.40** მხ/ფ "**ესროლე**" (მ.ბელუჩი)

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.30, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" — "პეკინი" **14.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **15.30** **ფეხბურთი** — ევროპის **17** წლამდე ფეხბურთელთა შესარჩევი ეტაპის მატჩი: **საქართველო — პოლანდია** I-II ტაიმი (პ/რ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კონცერტი:"პაემანი ვერაზე – გიზო ნიშნიანიძე" **1** ნაწ. (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ "**შუაღამე პარიზში**" (რ.მაკადამსი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **00.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**". **01.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი

**ერთსულოვნება** **06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "სტუმრად თუშებთან" **06.25** მხ/ფ "**მე ბებია ილიკო და ილარიონი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად.V **11.05** დოკ/ფ "ჯავახეთის გაზაფხული" **11.15** სალვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ულმერთოთა ღამე**" **13.30** ქართული მულტფილმი **14.00** დოკ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" **14.45, 23.50** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი - ელისო ვირსალაძე და ნატალია გუტმანი II ნაწ. **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** მოკ/ფ "**ქოლგა**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.30** ირაო **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" I ნაწ. **02.00** ნიამორი

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00** **სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) . **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1,6635 |
| ევრო | — 2,2788 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2,6975 |
| 100 რუსული რუბლი | — 5,2236 |

## ამინდის პროგნოზი 22 ოქტომბრისთვის





მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1 .................... მგლის ბილიკი

ტომი 2 .................... შავი ვარდი




სს „თიბისი ბანკი"

ა/ნ: GE38 TB76 6654 5161 6000 02

დარეკეთ: 09 01 70 00 56

დღეს ყველანი გვჭირდებით!

ვაჩუქოთ მაია მიქაუტაძეს სიცოცხლე!

**კუნძულ უტოიაზე მოკლული ლიპარტელიანების ოჯახი დახმარებას ითხოვს – 100.000 დოლარი სიცოცხლის გადასარჩენად!**

**25 წლის მაია მიქაუტაძეს დაუდგინდა მწვავე ლეიკემია, რის გამოც ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია – ძვლის ტვინის გადანერგვა. ოპერაციის ჩატარების სირთულიდან გამომდინარე, საქართველოში მისი გაკეთება შეუძლებელია. მაიას ოპერაცია უნდა ჩაუტარდეს თურქეთში, რაც, სამწუხაროდ, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ოპერაციის ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100.000$, რომლის მოგროვების საშუალებაც ოჯახს დამოუკიდებლად არ გააჩნია.**

**უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, აღმოუჩინოთ მაიას ნებისმიერი სახის დახმარება და ერთად გადავარჩინოთ მისი სიცოცხლე.**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სქელი მურაბა; 2. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 5. ევროპა-აზიის გამყოფი ქედი; 3. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 6. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. წყალბადის იზოტოპი, „მძიმე წყალი"; 10. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 12. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 14. ფეხბურთის იტალიელი გულშემატკივარი; 15. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 4. თოკზე მოსიარულე ჯამბაზი; 7. მონასტერი ხულოს რაიონში; 9. მეფის მრჩეველი; 11. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 12. მდინარე გაგრაში; 13. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 17. კომპანია „მაიკროსოფტის" მფლობელი; 18. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 19. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 20. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# ელისო ვირსალაძე ხელოვნების ქურუმია

ეკა ირემაშვილი

მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე „ხელოვნების ქურუმის" ჯილდოთი დააჯილდოვეს. საზეიმო ღონისძიება თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის დახურვაზე შედგა.

ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის დასკვნით კონცერტზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა სცენიდან მიმართეს შეკრებილ საზოგადოებას და ფესტივალის მნიშვნელობაზეც ისაუბრეს. გურამ ოდიშარიამ კი პიანისტებს ელისო ვირსალაძეს და ნატალია გუტმანს ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სამინისტროს სპეციალური პრიზი „ხელოვნების ქურუმი" გადასცა. ფესტივალის დასკვნითი კონცერტის პროგრამაში შესრულდა ბარდანაშვილის კონცერტი ფლეიტისა და სიმებიანი ორკესტრისათვის „სულის გარდასახვანი", შოსტაკოვიჩის კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის №2, თხზ 126 და ბეთჰოვენის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის №5, თხზ. 73. ფესტივალის ბოლო კონცერტში მონაწილეობა მიიღეს თბილისის კამერულმა ორკესტრმა „საქართველოს სინფონიეტა", საფესტივალო სიმფონიურმა ორკესტრმა არიელ ცუკერმანის დირიჟორობით და სოლისტებმა ელისო ვირსალაძემ და ნატალია გუტმანმა.

ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა და იგი 6 კონცერტს მოიცავდა. თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის" ორგანიზებით მოეწყო. ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური სამხატვრო ხელმძღვანელია ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე. ფესტივალის საზეიმო გახსნაზე საკონცერტო პროგრამაში გაერთიანდა ქართული ხალხური სიმღერები, ბეთჰოვენის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის და მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „რუსთავი", საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრმა (დირიჟორი არიელ ცუკერმანი) და სოლისტებმა კოლია ბლაჰერმა და ელისო ვირსალაძემ. ფესტივალი საოპერო მუსიკის კონცერტით გაგრძელდა, სადაც შესრულდა ვერდის, სენ-სანსის, ბოროდინის და მუსორგსკის ნაწარმოებები. საღამოში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრმა (დირიჟორი არიელ ცუკერმანი) და სოლისტებმა მზია ნიორაძემ და ტიფანი აბანიმ. საფესტივალო პროგრამაში ჩაჯდა კამერული მუსიკის კონცერტიც, სადაც შესრულდა შუბერტის სიმებიანი კვინტეტი და შუმანის საფორტეპიანო კვინტეტი. ნაწარმოებები ააჟღერეს ელისო ვირსალაძემ, კოლია ბლაჰერმა, თამაზ ბათიაშვილმა, ბენჟამენ გილმორმა, ნოდარ ჟვანიამ, ჩულ გინ პაკმა და ნატალია გუტმანმა. კამერულ მუსიკას ფესტივალმა მეორე კონცერტიც მიუძღვნა, რომელსაც „ბეთჰოვენი, მისი მეგობრები და მოსწავლეები" ეწოდებოდა. საღამოზე შესრულდა ფრანც დანცის კვინტეტი ფორტეპიანოსა და ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის, ანტონ რეიხას კვინტეტი კლარნეტისა და სიმებიანი კვარტეტისათვის, კროიცერის სეპტეტი ჩასაბერი და სიმებიანი ინსტრუმენტებისათვის. საღამოზე დაუკრეს ელისო ვირსალაძემ, ედუარდ ბრუნერმა, გიორგი ქობულაშვილმა, ჟააკო ლუომამ, პჟემისელ ვოიტამ, მიხეილ ქართველიშვილმა და სიმებიანი კვარტეტმა „იბერი". თელავის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გაგრძელდა კონცერტით „მომავალი თაობა", რომელსაც მუსიკალური კოლეჯის დარბაზმა უმასპინძლა, მომდევნო დღეს კვლავ კამერული მუსიკის კონცერტი ჩატარდა, სადაც აჟღერდა ბეთჰოვენის კვარტეტი ფორტეპიანოსა და სიმებიანი ტრიოსათვის, ჰუმელის საფორტეპიანო კვინტეტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ელისო ვირსალაძემ, ინგოლფ ტურბანმა, ბენჟამინ გილმორმა, ნატალია გუტმანმა და მიხეილ ქართველიშვილმა.



– წლევანდელ ფესტივალში გაერთიანდა 6 კონცერტი, რომლის უმეტესობა საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრის თანხლებით დაიგეგმა. იგი დაკომპლექტდა საგანგებოდ ფესტივალისთვის და მასში უკრავენ მაღალპროფესიონალი მუსიკოსები სხვადასხვა ქვეყნიდან. ორკესტრს დირიჟორობს მაესტრო არიელ ცუკერმანი. წლევანდელი ფესტივალის სოლისტები არიან ელისო ვირსალაძე, კოლა (ლუკას ნიკოლაი) ბლაჰერი, ინგოლფ ტურბანი, ნატალია გუტმანი, ედუარდ ბრუნერი, ბენჟამინ გილმორი, მიხეილ ქართველიშვილი, ნოდარ ჟვანია, ჩულ გინ. წლევანდელ პროგრამაში მოხვდა საოპერო მუსიკის კონცერტიც, თელავში სოლისტებმა მზია ნიორაძემ და ტიფანი ობანმა იმღერეს. კონცერტები, ტრადიციულად, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე გაიმართება. საფესტივალო საღამოები მსმენელს სთავაზობს მრავალფეროვან პროგრამას, რომელშიც შესულია მსოფლიო კლასიკური მუსიკის შედევრები. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება ბელგიელი ფოტოხელოვანის დერეკ პრაჟერის ფოტოგამოფენაც, – განაცხადა ფესტივალის მედია კომუნიკაციების მენეჯერმა ჯაბა სიხარულიძემ.

# ვლადიმერ სტეფანია — მრჩეველი სამინისტროში



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შექმნილ მრჩეველთა საბჭოს ახალი წევრი დაემატა. ამიერიდან, მრჩეველთა საბჭოს 18- კაციან შემადგენლობაში ვეტერანი კალათბურთელი ვლადიმერ სტეფანიაც იქნება. ვლადიმერ სტეფანია პირველი ქართველი კალათბურთელია, რომელმაც ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ითამაშა.

სტეფანია წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელი და ლიდერი იყო. მრჩეველთა საბჭო პერიოდულად იკრიბება და სამინისტროსთან ერთად სპორტული ფედერაციებისთვის რჩევებსა და რეკომენდაციებს იმუშავებს. საბჭო ასევე განიხილავს ოპტიმალურ სტრატეგიას ახალი კადრების მომზადებისთვის და იმუშავებს სამწვრთნელო მეთოდიკისა და კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს.

მრჩეველთა საბჭოს სრული სია ასეთია: ნონა გაფრინდაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, გურამ მინაშვილი, თემურ ბენდიაშვილი, ჯემალ ცერცვაძე, რომან რურუა, გურამ საღარაძე, როსტომ აბაშიძე, გურამ პაპიტაშვილი, ვიქტორ სანეევი, ჯუმბერ ლეჟავა, ჯანო ბაგრატიონი, რევაზ ტრაპაიძე, ლევან თედიაშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, ალექსანდრე მეტრეველი, მზია ჯუღელი, ვლადიმერ სტეფანია.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მურმან ჯინორიამ პატიმარი ქალებისთვის ითამაშა

რუსთაველის თეატრის მსახიობმა მურმან ჯინორიამ პატიმარი ქალებისთვის თავისი მონოსპექტაკლი ითამაშა. მსახიობი სასჯელაღსრულების ქალთა №5 დაწესებულებას ესტუმრა და „ქარი მწყურია მე პირდაპირი" წარმოადგინა.

როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, წარმოდგენას მსჯავრდებული ქალბატონები, დაწესებულების პერსონალი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის თანამშრომლები დაესწრნენ.

„ქარი მწყურია მე პირდაპირი" რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე იდგმება. ეს არის მონოსპექტაკლი ერთ მოქმედებად, რომლის ინსცენირებაც, რეჟისურაც, მხატვრობაც და მუსიკალური გაფორმებაც მურმან ჯინორიას ეკუთვნის.

– ამ სპექტაკლით მინდა ჩვენი ახალგაზრდობა მივუახლოვო ქართულ გენეტიკურ მახსოვრობას, – ამბობს მსახიობი, თუმცა მზად

გაგრძელება მე-11 გვერდზე



## ასტროპროგნოზი

22 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ნუ მიიღებთ მძიმე საკვებს! **ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კირჩხიბი** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **ლომი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ქალწული** — ახალი საქმე გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **სასწორი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **მორიელი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — წარმატებული დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **მერწყული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **თევზები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ლურჯი წითელი ყვითელი შავი